



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

მოსახლეობის განწყობები ქვეყანაში მიმდინარე მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებით

რაოდენობრივი კვლევის შედეგების ანალიზი

თიკო ტყემელაშვილი, ლიკა სანიკიძე

ივლისი
2017

საქართველოს ახალგაზრდა
იურისტთა ასოციაცია



მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების
კავკასიური ინსტიტუტი



გამოცემა მომზადებულია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის და მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის ერთობლივი პროექტის **კვლევაზე დაფუძნებული ადვოკატირებით, ცნობიერების ამაღლებით, ქსელური მუშაობითა და ტექნოლოგიების გამოყენებით საქართველოში მიგრაციის მართვის განვითარება** ფარგლებში.

© საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია & მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან მხოლოდ ავტორები და პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

ავტორები: თიკო ტყეშელაშვილი, ლიკა სანიკიძე

თბილისი, 2017

სარჩევი

დიაგრამების და ცხრილების სია	4
შესავალი	7
მეთოდოლოგია	9
1. ევროკავშირის და შენგენის ზონის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლა – განწყობები და მოლოდინები	11
შესავალი	11
უვიზო მიმოსვლის მნიშვნელობა	12
უვიზო რეჟიმის სარგებელი	13
უვიზო რეჟიმის საფრთხეები	16
ევროკავშირის/შენგენის ზონის ქვეყნებში გამგზავრება უვიზო რეჟიმის ამოქმედების შემდეგ	17
ევროკავშირის/შენგენის ზონის სამიზნე ქვეყნები და გამგზავრების მიზანი	18
ინფორმაციის წყაროები	19
ძირითადი მიგნებები	21
2. ემიგრაცია და მისი დემოგრაფია	23
შესავალი	23
ემიგრაციული ნაკადები	23
დემოგრაფია	27
ძირითადი მიგნებები	31
3. ფულადი გზავნილები	33
შესავალი	33
ფულადი გზავნილები როგორც სიღარიბესთან ბრძოლის და ქვეყნის განვითარების ინსტრუმენტი	35
ძირითადი მიგნებები	40
4. განწყობები იმიგრანტების მიმართ	41
ძირითადი მიგნებები	45
დასკვნა	47
ბიბლიოგრაფია	49

დიაგრამების და ცხრილების სია

დიაგრამები

დიაგრამა 1.1 – უვიზო მიმოსვლის სარგებელი (მარტი, ივნისი 2016, აპრილი 2017)	12
დიაგრამა 1.2 – საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის შეფასება (ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით)	13
დიაგრამა 1.3 – უვიზო მიმოსვლის სარგებელი	14
დიაგრამა 1.4 – იმ რესპონდენტთა ოჯახის შემოსავალი, ვინც დასაქმებას ასახელებს უვიზო მიმოსვლის სარგებლად	15
დიაგრამა 1.5. უვიზო მიმოსვლის საფრთხეები	17
დიაგრამა 1.6. ევროკავშირის წევრ ქვეყანაში გამზავრების გეგმები (ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით)	18
დიაგრამა 1.7. გამგზავრების მიზანი	19
დიაგრამა 1.8. ვიზის აღებასთან დაკავშირებული საინფორმაციო წყაროები	20
დიაგრამა 1.9. ვიზის აღებასთან დაკავშირებული სასურველი საინფორმაციო წყაროები	21
დიაგრამა 2.1. ემიგრაციის ტალღები 1991-2016 წწ.	25
დიაგრამა 2.2. სამუდამო და დროებითი ემიგრაცია	26
დიაგრამა 2.3. სეზონური, გრძელვადიანი მიგრაცია და დაბრუნება 1991-2016 წწ.	26
დიაგრამა 2.4. ამჟამად საზღვარგარეთ მცხოვრები ახლო ნათესავი და მეგობარი	27
დიაგრამა 2.5. მიგრანტთა განაწილება სქესის მიხედვით, 2012-2016 წწ.	28
დიაგრამა 2.6. ემიგრანტთა ასაკობრივი განაწილება	28
დიაგრამა 2.7. ემიგრანტთა განაწილება ასაკის მიხედვით 2012-2016 წწ.	29
დიაგრამა 2.8. ემიგრანტთა განათლება	30
დიაგრამა 2.9. ემიგრანტის ოჯახური მდგომარეობა	30
დიაგრამა 2.10. ემიგრანტების დასახლება მიმღები ქვეყნების მიხედვით	31
დიაგრამა 3.1. პირადი ფულადი გზავნილები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 1999-2016 წწ.	35
დიაგრამა 3.2. ფულადი და სხვა მატერიალური გზავნილები	36
დიაგრამა 3.3. ფულადი გზავნილების მნიშვნელობა შინამეურნეობისთვის	37
დიაგრამა 3.4. საზღვარგარეთიდან მიღებული ფულადი გზავნილის ხარჯვა	38
დიაგრამა 3.5. საზღვარგარეთიდან მიღებული თანხების მოცულობა	39

	დიაგრამა 3.6. ფულადი გზავნილების საშუალებები	39
	დიაგრამა 4.1 – დამოკიდებულება სამ თვეზე მეტი დროით დასახლებული უცხოელების მიმართ	41
	დიაგრამა 4.2 – ემიგრანტების და იმიგრანტების რიცხოვნობა, 2012-2016 წწ.	43
	დიაგრამა 4.3 – იმიგრანტების რიცხოვნობა მოქალაქეობის მიხედვით, 2012-2016 წწ.	44
	დიაგრამა 4.4 – დამოკიდებულება უცხოელების მიერ მიწის დამუშავების მიმართ	44
	დიაგრამა 4.5 – ეკონომიკაზე უცხოელების გავლენის შეფასება	45
ცხრილები		
	ცხრილი 2.1. საქართველოს მოსახლეობა, ბუნებრივი მატება და მიგრაციული სალდო 2002 – 2017	24
	ცხრილი 2.2. მიგრაციის სალდო საქართველოში, 1962 – 2012	25

შესავალი

საერთაშორისო მიგრაცია მნიშვნელოვანი სოციალური მოვლენაა. ის გავლენას ახდენს თანამედროვე ქართული სახელმწიფოს განვითარების პროცესზე და ბოლო სამი ათწლეულია აყალიბებს ქვეყნის დემოგრაფიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ (მეტწილად ფინანსურ) და კულტურულ მახასიათებლებს. მისი გავლენა შესამჩნევია როგორც სახელმწიფო, ისე ოჯახების და ცალკეული მოქალაქეების დონეზე. შესაბამისად ამ საკითხების მიმართ გაზრდილია ინტერესი საჯარო სექტორსა და აკადემიურ წრეებში. საქართველოში საერთაშორისო მიგრაციაზე და მის შედეგებზე გამოქვეყნებული კვლევების და ნაშრომების მიუხედავად, საჭიროა მონაცემთა არსებული ბაზების შევსება და სრულყოფა. მიმდინარე ანგარიშში გაანალიზებულია საქართველოს მასშტაბით 2017 წელს მიგრაციის საკითხებზე ჩატარებული რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგები. გამოცემა მიზნად ისახავს მიგრაციის კვლევაში წვლილის შეტანას და საკითხით დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის დამატებითი წყაროს შეთავაზებას.

აღნიშნული კვლევა ჩატარდა 2016-2017 წლებში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა (GYLA) და მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის (CIPDD) ერთობლივი პროექტის ფარგლებში: **კვლევაზე დაფუძნებული ადვოკატირებით, ცნობიერების ამაღლებით, ქსელური მუშაობითა და ტექნოლოგიების გამოყენებით საქართველოში მიგრაციის მართვის განვითარება**. კვლევის მიზანი იყო მიგრაციის სხვადასხვა ასპექტზე მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლა. კერძოდ, საზოგადოებრივი აზრის გაგება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ემიგრაცია და მისი გავლენა ქვეყნისა და ოჯახის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე; მიგრაციული პროცესებით შექმნილი შესაძლებლობები და საფრთხეები; იმიგრანტთა როლი ქვეყნის განვითარებაში და მიმღებლობა მოსახლეობის მიერ.

საერთაშორისო მიგრაციასთან დაკავშირებულ ზოგად საკითხებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლას. ბოლო წლების განმავლობაში ეს პრიორიტეტული პოლიტიკური საკითხი იყო და ამჟამად დომინირებდა საჯარო, კერძო და აკადემიურ დისკუსიებში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოსახლეობის გამოკითხვის არსებითი ნაწილი (99%) ჩატარდა 2017 წლის იანვარში. კერძოდ, 2 თებერვლამდე, როდესაც ცნობილი გახდა, რომ ევროპარლამენტმა მხარი დაუჭირა საქართველოსთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციას¹. ამის შემდეგ საკმაოდ გააქტიურდა

1 <http://www.europarl.europa.eu/news/en/press-room/20170131IPR60306/georgia-visa-waiver-approved-by-parliament> (ნანახია 25/05/17)

სახელმწიფოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოებულ საინფორმაციო კამპანიები. შესაბამისად, კვლევის შედეგების ინტერპრეტაციისას გასათვალისწინებელია, რომ მათში ასახულია რეჟიმის ამოქმედებამდე და აქტიური საინფორმაციო კამპანიების დაწყებამდე არსებული განწყობები და დამოკიდებულებები.

ანგარიში ოთხი ნაწილისგან შედგება. **პირველი ნაწილი** ეხება ვიზალიზაციას. მასში წარმოდგენილია მოსახლეობის დამოკიდებულება ევროკავშირის/შენგენის ზონის სახელმწიფოებთან უვიზო რეჟიმის ამოქმედების შედეგად მოსალოდნელ საფრთხეებსა და სარგებელზე.

ანგარიშის **მეორე ნაწილში** ემიგრანტების პროფილია აღწერილი. მასში საუბარია დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანაში დაფიქსირებულ ემიგრაციულ ტალღებსა და ემიგრანტთა დემოგრაფიულ მახასიათებლებზე.

მესამე ნაწილი ეთმობა ემიგრანტების მიერ სამშობლოში გაგზავნილ ფულად და მატერიალურ გზავნილებს. წარმოდგენილია როგორც ოფიციალური სტატისტიკა, ისე მოსახლეობის დამოკიდებულება ამ გზავნილების მიმართ. ანგარიშის პირველი სამი ნაწილი მთლიანად ემიგრაციაზეა ფოკუსირებული. ბოლო, **მეოთხე ნაწილი** კი ეთმობა იმიგრაციას. მასში წარმოდგენილია მოსახლეობის დამოკიდებულება საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსული უცხოელების მიმართ. საუბარია იმ საფრთხეებსა და სარგებელზე, რომლებიც შეიძლება იმიგრაციამ მოუტანოს საქართველოს.

პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევა ერთ-ერთია იმ ინიციატივათაგან, რომელიც მიგრაციასთან დაკავშირებულ სხვადასხვა, მათ შორის წინააღმდეგობრივ, საკითხებზე საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლას ეხება. ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე ანგარიში საინტერესო მონაცემებს შესთავაზებს მიგრაციის საკითხებზე მომუშავე მკვლევრებს, პოლიტიკის დაგეგმვაში ჩართულ სახელმწიფო უწყებებს, ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

მეთოდოლოგია

წინამდებარე გამოცემაში გაანალიზებულია რაოდენობრივი კვლევის მონაცემები. დამხმარე მასალად გამოყენებულია ამავე პროექტის ფარგლებში საქართველოს რეგიონებში ჩატარებული ფოკუსჯგუფების შედეგები.

კვლევის დაგეგმვის პროცესი მონაწილეობითი იყო. დამოუკიდებელ მკვლევრებთან ერთად, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს დახმარებით, კითხვარის შედგენის პროცესში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იყო მიგრაციის მართვაში ჩართული სხვადასხვა უწყება. რაოდენობრივი კვლევის ფორმატის გათვალისწინებით, მხარეებისთვის საინტერესო საკითხები მაქსიმალურად აისახა. შედეგად შემუშავდა 90 კითხვისგან შემდგარი კითხვარი, რომელიც მოიცავდა საკითხებს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის, სეზონური, დაბრუნებული და ამჟამად საზღვარგარეთ მცხოვრები მიგრანტების, ფულადი და მატერიალური გზავნილების, უცხოელი მიგრანტების მიმართ დამოკიდებულებისა და შიდა მიგრაციის შესახებ.

რაოდენობრივი კვლევა კონკურსის წესით შერჩეულმა კვლევითმა ორგანიზაციამ, CRRC-საქართველომ (კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი) ჩაატარა. საველე სამუშაოები 2017 წლის 18 იანვრიდან 16 თებერვლამდე ჩატარდა². გამოყენებული იყო სტრატეგიული და კლასტერული შერჩევის მეთოდი, რაც მოსახლეობის შედარებით ჰომოგენურ ჯგუფებად დაყოფას (სტრატეგიული), თითოეული ჯგუფიდან (სტრატა) პატარა გეოგრაფიული არელების შემთხვევით შერჩევას (კლასტერინგი) გულისხმობს. შინამეურნეოები შემთხვევითი პრინციპით შეირჩა, ხოლო რესპონდენტები – კიშის ცხრილის გამოყენებით. შემთხვევით შერჩეული შინამეურნეობის ან პიროვნების ჩანაცვლება არ მომხდარა. მთლიანობაში ჩატარდა 1 787 ინტერვიუ.

კვლევა წარმომადგენლობითია ქვეყნის მასშტაბით, თბილისის, სხვა ქალაქებისა და სოფლის ტიპის დასახლებებისთვის. გამოკითხვა ჩატარდა მხოლოდ ქართულ ენაზე, რის გამოც შერჩევის ჩარჩოდან გამოირიცხა ის საარჩევნო უბნები³, რომლებშიც არაქართულენოვანი მოსახლეობა 40%-ს აჭარბებს. საშუალო ცდომილების ზღვარი არ აღემატება 3.7-3.8%-ს.

2017 წლის თებერვალი-მარტის თვეებში რეგიონებში ფოკუსჯგუფები ჩაატარეს საია-ს წარმომადგენლებმა, რომლებმაც გაიარეს შესაბა-

2 გამოკითხვის არსებითი ნაწილი (99%) 2017 წლის იანვარში დასრულდა.
3 შერჩევაში გამოყენებული იყო 2016 წლის საარჩევნო უბნების სიები.

მისი მოსამზადებელი ტრენინგი. ჯგუფური განხილვები ჩატარდა წინასწარ შერჩეული საკითხების მიხედვით, რომელიც იმეორებდა რაოდენობრივ კვლევაში დასმულ კითხვებს. თვისებრივი კვლევის სამიზნე ჯგუფებად შეირჩა რესპონდენტთა სხვადასხვა კატეგორია, მათ შორის დევნილები, ემიგრანტების ოჯახის წევრები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, იპოთეკარები, დაბრუნებული მიგრანტები და სხვა. თითოეულ შეხვედრას 10-მდე პირი დაესწრო. საერთო ჯამში 32 დისკუსიაში 298-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა. ფოკუსჯგუფები ჩატარდა მხოლოდ ქართულ ენაზე. შეხვედრების ხანგრძლივობა მერყეობდა 1,5 სთ-დან 2 სთ-მდე. ფოკუსჯგუფის დისკუსიები 8 ქალაქში გაიმართა: ბათუმი, გორი, დუშეთი, ზუგდიდი, თელავი, ოზურგეთი, რუსთავი, ქუთაისი. მონაწილეები აქტიურად იყვნენ ჩართული დისკუსიაში, რადგან საკვლევი თემა თითოეული მათგანისთვის ნაცნობი და აქტუალური იყო.

1

ევროკავშირის და შენგენის ზონის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლა – განწყობები და მოლოდინები

შესავალი


საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის/შენგენის ზონის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის რეჟიმი 2017 წლის 28 მარტიდან ამოქმედდა. ამ გადაწყვეტილების მოლოდინი ჯერ კიდევ 2015 წლის დეკემბერში გაჩნდა, როდესაც ევროკომისიამ დასკვნით ანგარიშში სრულად შესრულებულად შეაფასა საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელება.

მოსახლეობა ინტერესით ადევნებდა თვალყურს ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებულ პროცესებს. 2016 წლის მარტში მოქალაქეების საკმაოდ დიდი ნაწილი (86%) ინფორმირებული იყო ევროკომისიის დადებითი ანგარიშის შესახებ⁴. 72%⁵ კი თვლიდა, რომ უვიზო რეჟიმი სარგებელს მოუტანდა ხალხს. თუმცა, დინამიკაში ამ კუთხით განწყობები საგრძნობლად შეიცვალა. უკვე სამი თვის შემდეგ – ივნისში 8%-ით, ხოლო 2017 წლის აპრილში დამატებით 11%-ით შემცირდა და 53% შეადგინა იმ მოქალაქეების რიცხვმა, ვინც კითხვას – უვიზო მიმოსვლა სარგებელს მოუტანს თქვენაირ ხალხს? – დადებითად უპასუხა. (დიაგრამა 1.1).

4 <http://caucasusbarometer.org/ge/na2016ge/VISAAWAR/> (ნანახია 27/05/2017)

5 <http://caucasusbarometer.org/ge/na2016ge/VISABEN/> (ნანახია 27/05/2017)

დიაგრამა 1.1 – უვიზო მიმოსვლის სარგებელი
(მარტი, ივნისი 2016, აპრილი 2017)



წყარო. NDI-CRRC საქართველო, საზოგადოებრივი განწყობის კვლევა საქართველოში, მარტი და ივნისი 2016, აპრილი 2017 (შენიშვნა: 2016 წლის ივნისის კვლევაში დამრგვალების გამო მონაცემების ჯამი 101%-ია)

GYLA-CIPDD-CRRC-ის კვლევის შედეგების განხილვისას მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინება, რომ გამოკითხვის ჩატარების დროს ჯერ კიდევ არ იყო მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით. შესაბამისად, უვიზო რეჟიმზე არც ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია* იყო ჩატარებული, რომლის განხორციელება მოგვიანებით, გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემდეგ დაიწყო. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია 2017 წლის მარტის ბოლოს მოსახლეობის ინფორმირებულობის კუთხით უკვე შეცვლილი მდგომარეობა ყოფილიყო.

გამოკითხვის მოცემული თემატური ბლოკი მიზნად ისახავდა განწყობების შესწავლას უვიზო მიმოსვლის მნიშვნელობაზე ქვეყნისა და რიგითი მოქალაქეებისთვის, მასთან დაკავშირებულ სარგებელსა და საფრთხეებზე, გამგზავრების გეგმებსა და მიზანზე. შესაძლებელია მონაცემების შედარება სხვადასხვა ცვლადის, მათ შორის დასახლების ტიპის (დედაქალაქის, ქალაქების, სოფლების) და ექვსი ასაკობრივი ჯგუფის (18-25, 26-35, 36-45, 46-55, 56-65, 66+) მიხედვით. ანგარიშის ამ ნაწილში ასევე გამოყენებულია საია-კავკასიური ინსტიტუტის პროექტის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების მასალებიც.

უვიზო მიმოსვლის მნიშვნელობა

საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის შემოღების საკითხის დადებითად გადაწყვეტამდე მოსახლეობის 73% მიიჩნევდა, რომ უვიზო რეჟიმის ამოქმედება ქვეყნისთვის დიდი წარმატება იქნებოდა. მხოლოდ 17% არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას. კითხვაზე პასუხისგან თავი შეიკავა (არ ვიცი/უარი პასუხზე) მოსახლეობის 10%-მა.

ამასთან დაკავშირებით ფოკუს-ჯგუფების მონაწილეების მიერ სხვადასხვა მოსაზრება გამოითქვა. მათი აზრით, უვიზო რეჟიმის ამოქმედება არის ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი, ევროპასთან დაახლოებისა და „ჩაკეტილობის“ დაძლევის შესაძლებლობა, საერთო ჯამში კი ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა.


“ჩემთვის პირადად ვიზალიბერალიზაცია არის მთელი ჩემი ცხოვრების ოცნების ასრულება. პოსტსაბჭოთა სივრცეში დაბადებულები ვერ მიხვდებიან, რამდენად წინ გადადგმული ნაბიჯია. ჩემთვის ეს ისეთივე გამარჯვებაა, როგორც თავისუფლების დეკლარაციის მიღება იყო თავის დროზე. ამ მიზნისკენ მთელი ისტორიის მანძილზე მიისწრაფვოდა საქართველო და ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი თითოეული ადამიანისთვის. (ქალი, თვითმმართველობის წარმომადგენელი, ბათუმი)

* შენიშვნა: საინფორმაციო კამპანია 2015-2016 წლებშიც მიმდინარეობდა, თუმცა განსაკუთრებით 2017 წლის დასაწყისში გააქტიურდა

ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დამოკიდებულება ამ საკითხისადმი განსხვავებულია. 18-25 წლის ასაკგაზრდების 85% უვიზო რეჟიმს წარმატებად თვლის. უფროს ასაკობრივ ჯგუფებში კი მცირედ, პროპორციულად იკლებს იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც ამ მოსაზრებას იზიარებს. 66 წლის ზემოთ რესპონდენტების 60% მიიჩნევს უვიზო რეჟიმს წარმატებად.

მოსახლეობის 73% ასევე ეთანხმება მოსაზრებას, რომ უვიზო მიმოსვლა დადებითი მოვლენა იქნება საქართველოს მოქალაქეებისთვის. 9% მიიჩნევს, რომ ამ მოვლენას არ ექნება გავლენა ადამიანების ცხოვრებაზე. ამ კითხვაზე პასუხების ასაკობრივ ჭრილში შეფასება დადებით მოლოდინებს უფრო ასაკგაზრდა თაობაში გვიჩვენებს.

დიაგრამა 1.2 – საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის შეფასება (ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით)



წყარო: GYLA-CIPDD-CRRC რაოდენობრივი კვლევა, იანვარი 2017

ამ საკითხისადმი დამოკიდებულება შედარებით ერთგვაროვანია დედაქალაქის, ქალაქების და სოფლების მიხედვით.

ზოგად შეფასებასთან ერთად, საინტერესოა იმის ცოდნა, კონკრეტულად რა დადებით და უარყოფით მოლოდინებს უკავშირებენ საქართველოს მოქალაქეები უვიზო რეჟიმის ამოქმედებას.


უვიზო რეჟიმის სარგებელი

მოსახლეობის 12% მიიჩნევს, რომ უვიზო მიმოსვლა ქვეყანას არ მოუტანს სარგებელს, ხოლო 8%-მა არ იცის ან უარს ამბობს ამ კითხვისთვის პასუხის გაცემაზე. დანარჩენი 80%, ანუ იმათზე 7%-ით მეტი,⁶ ვინც პოზიტიურ მოვლენად აფასებს უვიზო მიმოსვლას, გარკვეულ დადებით შედეგებს⁷ უკავშირებს ამ მოვლენას. ყველაზე ხშირად უვიზო რეჟიმის სარგებლად საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მუშაობის საშუალება (31%), ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება (19%), საქართველოს მოქალაქეებისთვის მოგზაურობის გამარტივება (19%) დასახელდა (დიაგრამა 1.3).

6 მოსახლეობის 73% მიიჩნევს, რომ უვიზო რეჟიმი წარმატება იქნება ქვეყნისთვის. ასევე 73% ფიქრობს, რომ ეს იქნება დადებითი მოვლენა საქართველოს მოქალაქეებისთვის
7 შენიშვნა: დასაშვებია იყო მაქსიმუმ ორი პასუხი

დიაგრამა 1.3 – უვიზო მიმოსვლის სარგებელი

რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს საქართველოს ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ამოქმედებამ? (% მისაღება მასქიმუმ ორი პასუხი)



წყარო: GYLA-CIPDD-CRRC რაოდენობრივი კვლევა, იანვარი 2017

გამოკითხვის პასუხები მიუთითებს, რომ მოსახლეობა უვიზო რეჟიმს და მის შედეგებს საქართველოს მოქალაქეებისთვის, ქვეყნის ეკონომიკისა და ბიზნეს სექტორისთვის ახალი შესაძლებლობების გაჩენას და ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას უკავშირებს. ფოკუსჯგუფის მონაწილეებიც ამავე სარგებელზე საუბრობენ და მოელიან, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს მიეცემათ საქმიანი ურთიერთობების დამყარების საშუალება. ასევე აღნიშნავენ, რომ ვიზალიბერალიზაცია კარგი იქნება მათთვის, ვინც პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს ეძებს. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა ვიზალიბერალიზაციის სიკეთედ ემიგრანტების ოჯახის წევრების თავისუფლად მოგზაურობა და შვილების/მეუღლეების/ნათესავების მონახულების გაადვილებაც დაასახელეს.

*„კარგი ვარიანტია იმათთვის, ვისაც, ვთქვათ, შვილები ჰყავთ იქ და წლები ვერ ნახულობდნენ. მართლა კარგი ვარიანტია.“
(ქალი, გორი, დევნილთა დასახლება)*


*„იყო აქამდე შემთხვევები, რომ ყველაფერი გააკეთა, ფული დახარჯა, შვილთან უნდოდა წასვლა, ფულიც დახარჯა, დროც, ენერჯიაც, რეჟიმში იყო, მონ-ვევაც ჰქონდა, მაგრამ არ გაუშვეს, ეგეთებისთვის კარგია.“
(ქალი, გორი, დევნილთა დასახლება)*

რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგები საზოგადოებაში არასწორი ინფორმაციის გავრცელების პრობლემასაც ავლენს. კერძოდ, გამოკითხვისას ყველაზე ხშირად დასახელებული პასუხი (31%) მიუთითებს იმაზე, რომ მოსახლეობის თითქმის მესამედს მცდარი წარმოდგენა აქვს ან არამართლზომიერად გამოყენების შესაძლებლობას ხედავს უვიზო რეჟიმში, რომელიც არ ანიჭებს საქართველოს მოქალაქეებს დასაქმების უფლებას. ამ კითხვაზე პასუხები დასახლების ტიპის მიხედვით განსხვავდება. დასაქმების შესაძლებლობას მოსალოდნელ სარგებლად ასახელებს თბილისის მოსახლეობის 22%, სხვა ქალაქების 32% და სოფლების 37%. ევროკავშირში გამარტივებულ მოგზაურობას უვიზო რეჟიმის სარგებლად უფრო თბილისის მოსახლეობა (29%) ასახელებს, ვიდრე სხვა ქალაქებისა (14%) და სოფლების (15%) მკვიდრნი. შესაბამისად შეიძლება დავასკვნათ,

რომ არასწორი ინფორმაციის გავრცელების პრობლემა ძირითადად ცენტრიდან მოშორებულ დასახლებებშია. ამ გარემოების გათვალისწინება კვლავ აქტუალურია მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული ღონისძიებების განხორციელებისას.

მათგან, ვინც ევროკავშირში დასაქმებას სარგებლად ასახელებს, უმეტესობა საშუალო ფენას წარმოადგენს, რომლის შემოსავალი ოჯახზე 181-დან 1000 ლარამდე შეადგენს და ამჟამად თავი უმუშევრად (26%) ან ნახევარ/სრულ განაკვეთზე მომუშავედ (30%) მიაჩნია.

დიაგრამა 1.4 – იმ რესპონდენტთა ოჯახის შემოსავალი, ვინც დასაქმებას ასახელებს უვიზო მიმოსვლის სარგებლად



წყარო: GYLA-CIPDD-CRRC რაოდენობრივი კვლევა, იანვარი 2017

ფოკუსჯგუფების მონაწილეებს შორისაც იყვნენ ისინი, ვინც უვიზო რეჟიმს დასაქმების შესაძლებლობას უკავშირებდა. ისინი დარწმუნებული არიან, რომ მოქალაქეებს ამის უფლება აქვთ (მაგალითად, სტუდენტებს) და სამი თვის მანძილზე უნდა შეეცადონ, მოძებნონ მოკლე ან გრძელვადიანი სამუშაო. მონაწილეების მეორე ნაწილი სწორად იყო ინფორმირებული უვიზო რეჟიმის პირობების შესახებ. მონაწილეების მიერ ასევე აღინიშნა, რომ, შეზღუდვების მიუხედავად, შესაძლებელია უვიზო მიმოსვლით სარგებლობა დამსაქმებელთან კონტაქტის დამყარების მიზნით და ამის შემდეგ შრომითი მიგრაციის დაგეგმვა.

„ელემენტარულად იქ კონტაქტები დაამყაროს, შეიძლება. ჩამოვიდეს და იმ კონტაქტებზე მერე მოთხოვნა გააკეთოს და მერე წავიდეს უშუალოდ სამსახურისთვის.“ (კაცი, გორი, დევნილების დასახლება)

ფოკუსჯგუფის ერთ-ერთი დისკუსიისას ასევე ითქვა, რომ დასაქმება შეიძლება გაართულოს კვალიფიკაციის არასათანადო დონემ და დამსაქმებლის მოთხოვნებთან შეუსაბამობამ.

„შეიძლება, აქ ძალიან კარგი პროფესიონალი გგონია შენი თავი, მაგრამ იქ არაფერი ხარ, ვერ საქმდები, მით უმეტეს, სამ თვეში.“ (კაცი, გორი, დევნილების დასახლება)

დადებითი მოლოდინების პარალელურად, დიდია მათი წილი (57%), ვინც მიიჩნევს, რომ საქართველოს ყველა მოქალაქეს სურვილის შემთხვევაში არ აქვს უვიზოდ ევროკავშირის საზღვრის გადაკვეთის გარანტია. 33% კი უფრო ოპტიმისტურადაა განწყობილი და თვლის, რომ მოქალაქეებს ამ მხრივ არანაირი დაბრკოლება არ შეექმნებათ. რაოდენობრივი გა-

მოკითხვის ფორმატში ვერ მოხერხდა ამ განწყობის განმარტობებელი მოსაზრებების გამოვლენა. ის გარემოება, რომ მოსახლეობის ნახევარზე მეტი უვიზო რეჟიმის მოქმედებას საზღვრის დაუბრკოლებლად გადაკვეთის გარანტიად არ თვლის, შესაძლებელია რამდენიმე მიზეზით აიხსნას. უვიზო მიმოსვლის თემაზე მოსახლეობასთან გამართულ საჯარო შეხვედრებზე, ასევე ფოკუს-ჯგუფების დროს, გამოითქვა მოსაზრება, რომ უვიზო გადაადგილება მხოლოდ საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის (ეკონომიკურად შეძლებული ფენისთვის) ან გარკვეული „კატეგორიის“ მოქალაქეებისთვის (პოლიტიკოსები, ექსპერტები, ცნობილი ადამიანები და ა.შ.) იქნება ხელმისაწვდომი, ხოლო რიგით მოქალაქეებს შესაძლოა, უარი ეთქვას ამ შესაძლებლობაზე.

*„ამას პლუსი გააჩნია ისევე იმ ხალხისთვის, ვინც ეკონომიკურად მაღალი ფენა არის, როგორც ვთქვა, უფრო მეტი ფული აქვთ და შეძლებს სადღაც წავიდეს.“
(კაცი, გორი, ემიგრანტის ოჯახის წევრები)*

*„ფიქრობ, რომ ვინც დადიოდა აქამდე, ისევე ისინი ივლიან.“
(ქალი, თვითმმართველობის წარმომადგენელი, ბათუმი)*

*„ამ ვიზალიბერალიზაციით საქართველოს მაცხოვრებლების 5 პროცენტი ისარგებლებს, დანარჩენი – ვერა.“
(კაცი, აჭარა, იპოთეკური სესხით მოსარგებლე)*

*„ზედა ფენა და ეს სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც მიდიოდნენ და მოდიოდნენ ისედაც, იმათთვის გამარტივდა პროცედურა წასვლისა.“
(კაცი, გორი, ღვენილთა დასახლება)*

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებს აქვთ განცდა, რომ მესაზღვრემ შესაძლებელია არ მიიჩნიოს მოქალაქე სანდოდ ნებისმიერი საბაზის საფუძველზე და არ მიანიჭოს ევროკავშირის საზღვრის გადაკვეთის ნებართვა.

„აქამდე თუ შეიძლებოდა დოკუმენტის არასათანადოდ მომზადებაზე შემოგდავებოდნენ, რომ არა გაქვს შენ მოწვევაში რაღაცა სათანადო დოკუმენტაცია და ამიტომ შენ არ გავიშვებთ იქ. აქედანვე არ გავიშვებთ და, შესაბამისად, შენ არც ბილეთის თანხას იხდიდი ზედმეტად და არც არაფერი, ახლა ეს ყველაფერი გადახდილი რომც გქონდეს, იმას [მესაზღვრეს] შეუძლია, ელემენტარულად მოგდოს შარი, რა ვიცი, შემოგხედოს და, რა ვიცი, რაღაც საეჭვო პიროვნება ხარ.“ (კაცი, გორი, ღვენილთა დასახლება)

უვიზო რეჟიმის საფრთხეები

საქართველოს მოქალაქეების 27% მიიჩნევს, რომ უვიზო მიმოსვლა საფრთხეს არ შეუქმნის ქვეყანას. ეს პასუხი უფრო ხშირად დაფიქსირდა სოფლის (32%), ვიდრე ქალაქების (22%) და თბილისის (25%) შემთხვევაში. 15%-მა არ იცის ან უარს ამბობს ამ კითხვაზე პასუხის გაცემაზე.


მოსახლეობის შედარებით დიდი ნაწილი (58%) კი გარკვეულ საფრთხეს მოელოდა და მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვნად საქართველოდან ბევრი ადამიანის გამგზავრებას (28%) ასახელებს. ეს საფრთხე უფრო აქტუალურია თბილისის (35%), ვიდრე სხვა ქალაქების (26%) თუ სოფლების (23%) მოსახლეობისთვის. ნუხილი, მოსახლეობის მიერ ქვეყნის შესაძლო მასობრივ დატოვებასთან დაკავშირებით, ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმაც გამოთქვეს:

*„საფრთხე, მე მგონი, მასობრივად ქვეყნის დატოვების საშიშროებაა.“
(ქალი, თვითმმართველობის წარმომადგენელი, თელავი)*

„ეს ვიზალიბერალიზაცია მიმართულია იქეთკენ, რომ ხელი შეუწყოს საქართველოს დაცლას.“ (ქალი, იპოთეკარი, აჭარა)

აღსანიშნავია, რომ საქართველოდან მოსახლეობის დიდი ნაწილის გამგზავრების შემდეგ, ყველაზე მნიშვნელოვან საფრთხედ საქართველოში ტერორისტების შემოსვლა (9%), უვიზო რეჟიმის საპასუხოდ რუსეთის მხრიდან გაზრდილი აგრესია (9%) და ქართული ტრადიციების შესუსტება (9%) სახელდება. განწყობებში გარკვეული განსხვავებებია დასახლების ტიპის მიხედვით (დიაგრამა 1.5). ქართული ტრადიციებისთვის საფრთხედ უვიზო მიმოსვლას უფრო სოფლების (11%) და სხვა ქალაქების (11%) მოსახლეობა აღიქვამს, ვიდრე თბილისის (5%) (დიაგრამა 1.5).

დიაგრამა 1.5. უვიზო მიმოსვლის საფრთხეები



წყარო: GYLA-CIPDD-CRRC რაოდენობრივი კვლევა, იანვარი 2017

ფოკუს-ჯგუფის დისკუსიების დროს, საქართველოს მოქალაქეების მიერ უვიზო რეჟიმის გამოყენებასთან დაკავშირებით, საუბრისას გამომჟღავნდა, რომ მონაწილეები დადებითად ერთად უარყოფით შედეგებსაც ელიან. თუმცა მათთვის შეფასების გაკეთება საკმაოდ რთულია, რადგან შედეგი სხვადასხვა გარემოებაზეა დამოკიდებული:

„არ ვიცი, საქართველო ყოველთვის არასტანდარტული და ალოგიკური ქვეყანა იყო და ახლა ამ რეჟიმს როგორ გამოიყენებს, ვნახოთ, დრო გვიჩვენებს. შეიძლება, სულ დააქციონ ქვეყანა და შეიძლება, პირიქით, სულ ააღორძინონ.“
(კაცი, გორი, დევნილთა დასახლება)


„ამ პროცესს შევადარებდი კომპიუტერს, იქ არის ზღვა მასალა, რაც შეიძლება, სასიკეთოდ გამოიყენო, მაგრამ ვინც არ იცის, მის მხოლოდ უარყოფით მხარეს იყენებს. იგივეა ვიზა-ლიბერალიზაცია, ხალხმა იშრომა, რომ ამისთვის მიგვეღწია, მაგრამ მთავარია, ქართველი ხალხი როგორ გამოიყენებს ამ შესაძლებლობას.“
(ქალი, საბინაო ამხანაგობის თავმჯდომარე, ქუთაისი)

ევროკავშირის/
შენგენის ზონის
ქვეყნებში
გამგზავრება
უვიზო რეჟიმის
ამოქმედების
შემდეგ

უვიზო რეჟიმის ამოქმედებიდან ერთი წლის განმავლობაში ევროკავშირში გამგზავრებას მოსახლეობის 31% აპირებს. გამგზავრების გეგმა უფრო მეტად დედაქალაქის მაცხოვრებლებს (38%) აქვთ, ვიდრე სხვა ქალაქებისა (30%) და სოფლების (27%) მოსახლეობას. პასუხები განსხვავდება ასაკობრივ ჯგუფშიც. უვიზო რეჟიმით სარგებლობას ამოქმედებიდან ერთი წლის განმავლობაში 18-25 წლის ახალგაზრდების 51% აპირებს, ხოლო უფროს ასაკობრივ ჯგუფებში ეს მაჩვენებელი ნაკლებია (დიაგრამა 1.6). თუ მოცემულ პასუხებს შევადარებთ დიაგრამა 1.2-ის მაჩვენებლებს, შესაძლებელია გარკ-

ვეული კავშირი დავინახოთ უვიზო რეჟიმის მიმართ დამოკიდებულებასა და გამგზავრების განზრახვას შორის. ის გარემოება, რომ უფრო მეტად ახალგაზრდა თაობას აქვს სურვილი და/ან აპირებს ევროკავშირში სხვადასხვა მიზეზით გამგზავრებას, შესაძლებელია განაპირობებდეს მათ დადებით მოლოდინს უვიზო რეჟიმის ამოქმედებასთან დაკავშირებით.

დიაგრამა 1.6. ევროკავშირის წევრ ქვეყანაში გამგზავრების გეგმები (ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით)



წყარო: GYLA-CIPDD-CRRC რაოდენობრივი კვლევა, იანვარი 2017

უვიზო რეჟიმის ამოქმედების ვადები გამოკითხვის მომენტისთვის არ იყო დადგენილი, შესაბამისად, დამატებითი კითხვა კონკრეტულად 2017 წელს გამგზავრების გეგმასთან დაკავშირებით დაისვა, რაზეც მხოლოდ 12%-მა უპასუხა დადებითად. თბილისის მაცხოვრებლებთან (21%) შედარებით, მიმდინარე წლის განმავლობაში ქალაქებისა (8%) და სოფლების (9%) მოსახლეობის მცირე ნაწილი აპირებს მოგზაურობას. შედეგები ემთხვევა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით წინა, ანალოგიურ კითხვაზე მიღებულ ტენდენციას. გამგზავრების სურვილს უფრო ახალგაზრდები გამოთქვამენ.

წინა ორ კითხვაზე დადებით პასუხებს შორის განსხვავება (12% და 31%) ლოგიკურია. უვიზო რეჟიმი გამარტივებულ პროცედურებს, ვიზის მოპოვებასთან დაკავშირებული დროისა და ხარჯების შემცირებას გულისხმობს. შესაბამისად, ამ პროცედურული დაბრკოლებების მოხსნამ შესაძლოა უფრო მეტ მოქალაქეს გაუჩინოს ევროკავშირში უვიზოდ გამგზავრების სურვილი, ვიდრე ვიზალიბერალიზაციის ამოქმედებამდე. რადგან გამოკითხვის დროს არ იყო ცნობილი სავიზო რეჟიმის გაუქმების თარიღი, შესაძლოა, მოქალაქეების ნაწილმა არ ივარაუდა საბოლოო გადანაცვლებების მიღება უახლოეს პერიოდში.

ევროკავშირის და შენგენის ზონის სამიზნე ქვეყნები და გამგზავრების მიზანი


მოსახლეობის 31%-ისთვის⁸ ძირითადი სამიზნე ქვეყნებია: გერმანია (20%), საფრანგეთი (20%) და იტალია (18%). ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან ასევე დასახელდა ესპანეთი (6%), საბერძნეთი (5%) და დიდი ბრიტანეთი (3%) (ამ უკანასკნელზე არ ვრცელდება უვიზო რე-

⁸ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც გამგზავრებას აპირებს უვიზო რეჟიმის ამოქმედებიდან ერთი წლის განმავლობაში

ჟიმი). რესპონდენტების მცირე ნაწილმა, კითხვის ფორმულირების მიუხედავად,⁹ ევროკავშირის არანეგრი ქვეყნებზე დაასახელა (აშშ და უკრაინა). ისინი, ვინც 2017 წელს აპირებენ გამგზავრებას (12%), ევროკავშირის სამიზნე ქვეყნებზე ასევე გერმანიას (18%), საფრანგეთს (14%) და იტალიას (14%) ასახელებენ. ჩამოთვლილ ქვეყნებში არანეგრი სახელმწიფოები – რუსეთი (3%) და თურქეთი (2%) მოხვდა.

მოქალაქეები, რომლებიც უვიზო რეჟიმით სარგებლობას აპირებენ (მოსახლეობის 31%), ნახევარზე მეტი (53%) ტურიზმის, დასვენებისა და მოგზაურობის მიზნით გეგმავს გამგზავრებას. 15% ამბობს, რომ მათი გამგზავრების მიზანი გრძელვადიანი (3 თვით ან მეტი დროით) დასაქმება იქნება. 12% ოჯახის წევრების მონახულებას, ხოლო 9% – სეზონურად/მოკლევადიანად (3 თვემდე) დასაქმებას აპირებს.

დიაგრამა 1.7. გამგზავრების მიზანი



წყარო: GYLA-CIPDD-CRRC რაოდენობრივი კვლევა, იანვარი 2017

დიაგრამა 1.7-ზე მოცემული მონაცემები საგულისხმოა. მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეების შედარებით მცირერიცხოვანი სეგმენტი, ანუ მოსახლეობის 31%-ის 24% გამოთქვამს ევროკავშირში დასაქმების მიზნით გამგზავრების სურვილს, საჭიროა ამ ჯგუფთან და მთლიანად მოსახლეობასთან სწორი ინფორმაციის მიწოდება გაგრძელდეს. ვიზალიბერალიზაცია საქართველოს მოსახლეობას ევროკავშირის ქვეყნებში დასაქმების უფლებას არ აძლევს. შესაბამისად, დასაქმების ნებართვის არქონის პირობებში არალეგალურად მუშაობა უვიზო რეჟიმის დარღვევად ჩაითვლება, რაც შეიძლება უარყოფითად აისახოს, როგორც კონკრეტულ პიროვნებაზე, ისე ქვეყანაზე, რეჟიმის დამრღვევთა მაჩვენებლების ზრდის გამო.

ინფორმაციის წყაროები


ინფორმაციას ევროკავშირის ქვეყნების ვიზის მისაღებად საჭირო დოკუმენტებისა და პროცედურების შესახებ მოსახლეობა სხვადასხვა წყაროდან იღებს. მათ შორის ყველაზე ხშირად ტელევიზიით

9 კითხვა: “ევროკავშირის რომელ ქვეყანაში გაემგზავრებით ასეთ შემთხვევაში” (იმ 31%-ის პასუხები, ვინც გაემგზავრებოდა)

(72%), სოციალური ქსელებით (22%) და საქართველოში მყოფი ნაცნობ-მეგობრების მეშვეობით (15%). ტელევიზია დომინანტური საინფორმაციო წყაროა დასახლების ყველა ტიპის და ყველა ასაკობრივი ჯგუფის შემთხვევაში. სოციალურ ქსელებს და ნაცნობ-მეგობრებს კი ინფორმაციის წყაროდ შედარებით ახალგაზრდა თაობა ასახელებს (დიაგრამა 1.8).

დიაგრამა 1.8. ვიზის აღებასთან დაკავშირებული საინფორმაციო წყაროები

ძირითადად, საიდან იღებთ ინფორმაციას ევროკავშირის ქვეყნების ვიზის მისაღებად საჭირო დოკუმენტებისა და პროცედურების შესახებ? (საშუალო ასაკი)




წყარო: GYLA-CIPDD-CRRC რაოდენობრივი კვლევა, იანვარი 2017

უვიზო რეჟიმის ამოქმედების შემდეგ მოსახლეობა ინფორმაციის მიღებას, პირველ რიგში, ისურვებდა ტელევიზიით (63%) და შემდეგ სოციალური ქსელებით (18%). შედარებით ნაკლებად დასახელდა სხვა საინფორმაციო წყაროები, მათ შორის საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურები (7%), ევროკავშირის ქვეყნების საელჩოები (7%), საქართველოში მყოფი ნაცნობ-მეგობრები (7%), ჟურნალ-გაზეთები (6%), ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი (2%) და საჯარო შეხვედრები (2%). მოსახლეობის 9% აღნიშნავს, რომ არ დასჭირდება ინფორმაცია უვიზო მიმოსვლის შესახებ, 1%-ს არ სჯერა მისი ამოქმედების, ხოლო 2% ამბობს, რომ არაფერი იცის უვიზო რეჟიმის შესახებ (დიაგრამა 1.8).

დიაგრამა 1.9. ვიზის აღებასთან დაკავშირებული სასურველი საინფორმაციო წყაროები

ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ამოქმედების შემდეგ, ძირითადად რომელი წყაროებიდან ისურვებდით ინფორმაციის მიღებას უვიზო მიმოსვლის შესახებ? (% მისაღება ერთზე მეტი პასუხი)



წყარო: GYLA-CIPDD-CRRC რაოდენობრივი კვლევა, იანვარი 2017

ძირითადი მიგნებები

საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზალიბერალიზაციის მოსალოდნელ სარგებელს შორის ყველაზე ხშირად ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მუშაობის შესაძლებლობა დასახელდა, რის უფლებასაც უვიზო რეჟიმი არ ითვალისწინებს. ეს განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებმა მოქალაქეებმა აღნიშნეს. იმის მიუხედავად, რომ უვიზო მიმოსვლის ამოქმედებიდან ერთი წლის განმავლობაში ევროკავშირის წევრ ქვეყნებში გამგზავრებას დედაქალაქსა (38%) და სხვა ქალაქებთან (30%) შედარებით სოფლის მოსახლეობა (27%) ნაკლებად აპირებს, შემდგომშიც, საინფორმაციო კამპანიის განხორციელებისას, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ყველა ტიპის დასახლება, განსაკუთრებით კი სასოფლო, რადგან მოსახლეობის თითქმის მესამედს აქვს მცდარი წარმოდგენა უვიზო რეჟიმის პირობებისა და უფლებების შესახებ, ან ინფორმირებულობის მიუხედავად, არაღეგალურად დასაქმებას გეგმავს. რაოდენობრივი კვლევის მონაცემები ასევე მიუთითებს, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ნაკლებად არის ინფორმირებული, ევროკავშირის წევრ/შენგენის ზონის რომელ ქვეყნებზე ვრცელდება უვიზო მიმოსვლა. მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება სასურველია ტელევიზიითა და სოციალური ქსელების საშუალებით მოხდეს, რადგან მოქალაქეებს სწორედ ამ ძირითადი არხებით სურთ ინფორმაციის მიღება.

მოსახლეობის უმრავლესობა (73%) ვიზალიბერალიზაციას ქვეყნისთვის წარმატებულ მოვლენად თვლის. უვიზო რეჟიმის მნიშვნელობის შეფასებისას მკაფიოდაა გამოკვეთილი ასაკობრივი განსხვავება, რაც ახალგაზრდების ამ მოვლენასთან დაკავშირებულ უფრო დადებით, ოპტიმისტურ განწყობაში ვლინდება. მოცემულ საკითხზე დამოკიდებულების მხრივ განსხვავება არ არის დასახლების ტიპებს შორის.

მოსახლეობის განწყობა უვიზო რეჟიმის სარგებელსა და საერთო-ხეობთან დაკავშირებით ღირებულ ინფორმაციას წარმოადგენს ხელისუფლების შესაბამისი უწყებებისა და ამ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის. გამოკითხვის წინამდებარე თავში აღწერილი შედეგები შეიძლება საინტერესო იყოს როგორც ცნობიერების ამაღლების კუთხით განხორციელებული საქმიანობის შეფასებისას, ისე საქართველოს მიგრაციის სტრატეგიის 2018-20 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებისას. მცდარი წარმოდგენების დასაძლევად მნიშვნელოვანია მოსახლეობასთან კომუნიკაცია, მათ მიერ გამოკვეთილ საკვანძო საკითხების შესახებ (მოკლე და გრძელვადიანი დასაქმება, უნებართვო/უკანონო დასაქმებასთან დაკავშირებული საფრთხეები, საზღვრის გადაკვეთაზე უარის საფუძველი, დეპოპულაცია, ტერორიზმის საფრთხე და ა.შ.) ინფორმაციის რეგულარულად მიწოდება. ამით შეიძლება იყოს აცილებული მცდარი მოლოდინების შედეგად გაჩენილი უარყოფითი განწყობის გაძლიერება და უვიზო რეჟიმთან კავშირის არმქონე ნეგატიური ფაქტორების მასთან ასოცირება.

2

ემიგრაცია და მისი დემოგრაფია

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოში მნიშვნელოვანი მიგრაციული ნაკადები დაფიქსირდა. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა, ამის შედეგად შექმნილმა სოციალურმა ვითარებამ მეტწილად განსაზღვრა ამ ნაკადების მოცულობა და მიმართულება. საქართველოს მოსახლეობა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ თითქმის 2 მილიონით შემცირდა (Bondyrev et al., 2015), რაც ნაწილობრივ შობადობის შემცირებით, თუმცა ძირითადად მოსახლეობის დიდი ნაწილის მიერ ქვეყნის დატოვების შედეგად მოხდა.

მიგრაციული ნაკადების ზუსტი სტატისტიკური მონაცემების მოპოვება ძალიან რთულია. ადგილობრივი და საერთაშორისო წყაროები განსხვავებულ მეთოდოლოგიას იყენებენ და ხშირად სხვადასხვა პერიოდს ფარავენ. საერთო სურათის შესაქმნელად აუცილებელია მათგან მიღებული მასალებით ინფორმაციული ვაკუუმის შევსება და გაანალიზება. სხვა ოფიციალურ წყაროებთან ერთად ღირებულია მოსახლეობის გამოკითხვის შედეგებიც, რომელიც 2017 წელს CRRC საქართველომ საია-კავკასიური ინსტიტუტის პროექტის ფარგლებში ჩაატარა. გამოკითხვის ერთ-ერთი ბლოკი ემიგრანტი ოჯახის წევრების დემოგრაფიული მონაცემების დადგენას დაეთმო. კერძოდ, კითხვები ეხებოდა ემიგრანტის ქვეყნიდან გამგზავრების პერიოდს, მიზეზს, მათ განათლების დონეს, ოჯახურ მდგომარეობას, წასვლის დროს და ემიგრაციაში ყოფნისას დასაქმების სტატუსს.

მიგრაციული ნაკადები

1989 წლის აღწერის მიხედვით საქართველოს მოსახლეობა 5 443 000 იყო (საქსტატი, 2003¹⁰). მას შემდეგ პირველი საყოველთაო აღწერა 2002 წელს ჩატარდა, როდესაც მოსახლეობის თითქმის 1 მილიონით შემცირება აღირიცხა და 4 371 500¹¹ შეადგინა. ამ პერიოდში

10 საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2003 წ. http://geostat.ge/cms/site_images/files/georgian/census/2002/1/%20tomi%20-%20saqarTvelos%20mosaxleobis%202002%20wiis%20pirveli%20erovnuli%20sayovelTao%20aRweris%20Sedegebi.pdf; (ნანახია 7/05/2017)

11 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: <http://www.geostat.ge/?action=page&pid=472&lang=geo> (ნანახია 30/06/2017)

საქართველო, ძირითადად ეროვნებით არაქართველმა მოსახლეობამ დატოვა (Bondyrev et al., 2015¹²). შედეგად ცვლილება შესამჩნევი გახდა ქვეყნის ეთნიკური შემადგენლობის მონაცემებში: 1989 წლის 30%-იდან ეროვნებით არაქართველთა წილი, 2002 წლისთვის თითქმის 16%-მდე შემცირდა (საქსტატი, 2002¹³). მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მოსახლეობის ყველაზე დიდი გადინება საქართველოში 1992 წელს დაფიქსირდა, როცა ქვეყანა ნახევარ მილიონზე მეტმა (544 000) მოქალაქემ დატოვა¹⁴.

მიგრაციული ნაკადები გაგრძელდა 2002 წლის შემდეგაც. შემცირებული ემიგრაციისა და გაზრდილი შობადობის მაჩვენებლის მიუხედავად (2008-2010 და 2014-15 წლები), ბოლო 15 წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა კიდევ 700 ათასით შემცირდა (იხ. ცხრილი 2.1). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ბოლო 10 წლის მანძილზე საქართველოს ბუნებრივი მატების მაჩვენებელი საშუალოდ 2.5 იყო. ასევე დადებითი (თუმცა 0-თან მიახლოებული) იყო მიგრაციული სალდო. ამ კუთხით, ბოლო 15 წლის განმავლობაში 5-ჯერ დაფიქსირდა დადებითი მაჩვენებელი: 2004, 2005, 2009, 2010 და 2011 წლებში.

ცხრილი 2.1. საქართველოს მოსახლეობა, ბუნებრივი მატება და მიგრაციული სალდო 2002 – 2017

წელი	საქართველოს მოსახლეობა (ათასი კაცი) წლის 1 იანვრის მდგომარეობით	ბუნებრივი მატება (ათასი კაცი)	მიგრაციული სალდო (ათასი კაცი)
2002	4 371.5		-27.8
2003	4 342.6		-27.5
2004	4 315.2		5.5
2005	4 321.5		76.3
2006	4 401.3		-12.1
2007	4 394.7	1.8	-20.7
2008	4 382.1	3.1	-10.2
2009	4 385.4	3.8	34.2
2010	4 436.4	3.3	18.1
2011	4 469.2	1.8	20.2
2012	4 497.6	1.7	-21.5
2013	4 483.8	2.1	-2.6
2014	4 490.5	3.1	-6.5
2015	3 713.7	2.7	-3.4
2016	3 720.4	1.6	-8.1
2017	3 718.2		

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური¹⁵

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველოში მიგრაციის დადებითი სალდო 1967 წლის შემდეგ არ დაფიქსირებულა (იხ. ცხრილი 2.2). თუმცა აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკის მო-

12 Bondyrev, I., Davitashvili, Z. and Singh, V.P., 2015. The Geography of Georgia: Problems and Perspectives. Springer.

13 საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2003 წ. http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/census/2002/1%20tomi%20-%20saqarTvelos%20mosaxleobis%202002%20wlis%20pirveli%20erovnuli%20sayovelTao%20aRweris%20Sedegebi.pdf (ნანახია 30.06.2017)

14 <http://data.worldbank.org/indicator/SM.POP.NETM?locations=GE> (ნანახია 30.06.2017)

15 http://www.geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo და http://www.geostat.ge/?action=page&p_id=172&lang=geo (ნანახია 30.06.2017)

ნაცემები მხოლოდ 5-წლიანი ინტერვალით აფიქსირებს მიგრაციულ სალდოს.


ცხრილი 2.2. მიგრაციის სალდო საქართველოში 1962 – 2012

1962	1967	1972	1977	1982	1987	1992	1997	2002	2007	2012
96284	85196	-73425	-95444	-47827	-43659	-544069	-366036	-277521	-299482	-305269

წყარო: მსოფლიო ბანკი¹⁶

2017 წელს GYLA-CIPDD-CRRC-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მონაცემები შეესაბამება მიგრაციულ ნაკადებთან დაკავშირებულ ზემოთ აღწერილ ტენდენციას. მოსახლეობის 13%-მა თქვა, რომ ჰყავს ოჯახიდან წასული წევრი, რომელიც 1991 წლის შემდეგ გაემგზავრა საქართველოდან და სამ თვეზე მეტი დროის განმავლობაში უწყვეტად იმყოფება საზღვარგარეთ. ემიგრანტების 34%-მა ქვეყანა 2001-2010 წლებში დატოვა, 24%-მა 1991-2000 წწ, 39 %-მა კი ბოლო 7 წლის განმავლობაში (იხ. დიაგრამა 2.1).

დიაგრამა 2.1. ემიგრაციის ტალღები 1991-2016 წწ.




წყარო: GYLA-CIPDD-CRRC, 2017

მიგრაციული ნაკადების პროგნოზირების კუთხით საინტერესოა მოსახლეობის განწყობების გარკვევა სამუდამო და დროებით ემიგრაციასთან დაკავშირებით. შესაძლებლობის გაჩენის შემთხვევაში, საქართველოდან სამუდამოდ 10%, ხოლო გარკვეული დროით – 53% წავიდოდა (დიაგრამა 2.2). პოტენციური მიგრანტის მახასიათებლები, რომელიც ქვეყნის დატოვებას დროებით აპირებს, შემდეგია: საშუალოდ 26-35 წლის (26%), კაცი (52%), დაქორწინებული (69%), საშუალო განათლების მქონე (42%), ამჟამად უმუშევარი (29%) ან ნახევარ/სრულ განაკვეთზე დასაქმებული (33%). ემიგრაციის მსურველთა დიდი ნაწილის ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი 300-დან 1000 ლარამდეა.

16 <http://data.worldbank.org/indicator/SM.POP.NETM?locations=GE> (ნანახია 30/06/2017)


დიაგრამა 2.2. სამუდამო და დროებითი ემიგრაცია



წყარო: GYLA-CIPDD-CRRC, 2017

მიუხედავად განსხვავებული მონაცემებისა, ყველა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაცია თანხმდება, რომ საქართველოში მიგრაციული ნაკადები მოსახლეობის სიდიდესთან შედარებით საკმაოდ მაღალია და მოსახლეობის დიდ ნაწილს პირადად შეეხო. GYLA-CIPDD-CRRC-ის 2017 წლის კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 8%-ის ოჯახის წევრი¹⁷ სეზონური მიგრანტია და სხვა ქვეყანაში გარკვეული დროით მიემგზავრება პერიოდულად. 13%-ის ოჯახის წევრი 3 თვეზე მეტი დროით უწყვეტად იმყოფება ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ხოლო 13%-ის ოჯახის წევრი დაბრუნებულია ხანგრძლივი მიგრაციიდან (იხ.დიაგრამა 2.3).

დიაგრამა 2.3. სეზონური, გრძელვადიანი მიგრაცია და დაბრუნება 1991-2016 წწ.



წყარო: GYLA-CIPDD-CRRC, 2017


ზოგადი განწყობა ემიგრაციის მაღალი მაჩვენებლის შესახებ, ფოკუს-ჯგუფებზე გამოთქმული ნუხილებითაც დასტურდება.

„თითქმის არ არსებობს ოჯახი, სადაც ოჯახის წევრი თუ არა ახლობელი მაინც არ ჰყავდეს საზღვარგარეთ; თითქმის აღარ მეგულება ასეთი“ (გორი, ტურბაზა, დევნილთა დასახლება).

მსგავსი დამოკიდებულება თითქმის ყველა ფოკუს-ჯგუფის შეხვედრაზე გამოითქვა. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ მოსახლეობის 60%-ის ახლო ნათესავი ამჟამად ცხოვრობს საზღვარგარეთ. ახლო მეგობრის საზღვარგარეთ ყოფნას 44% ადასტურებს, რაც უფრო ფართე მიგრაციულ ქსელსა და საზღვარგარეთ ახლო კონტაქტების არსებობაზე მიუთითებს. მომავალში შესაძლოა ამ კონტაქტებმა პოტენციური მიგრანტებისთვის გადაწყვეტილების მიღება და დაგეგმვა განაპირობოს და კიდევ უფრო გააღრმავოს მიგრაციული ნაკადები საქართველოდან.

¹⁷ „ოჯახში“ იგულისხმება მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც რესპონდენტებთან ერთად ცხოვრობენ, მიუხედავად მათი ოფიციალური საცხოვრებელი ადგილისა, ვისთან ერთადაც რესპონდენტს აქვს საზიარო შემოსავალი და ხარჯები.

დიაგრამა 2.4. ამჟამად საზღვარგარეთ მცხოვრები ახლო ნათესავი და მეგობარი (%)



წყარო: GYLA-CIPDD-CRRC, 2017

იმ ოჯახების უმრავლესობას (73%), რომელსაც მიგრაცია შეეხო, ამჟამად მხოლოდ ერთი წევრი ჰყავს ქვეყნის ფარგლებს გარეთ, 15%-ს – ორი ოჯახის წევრი, 6%-ს – სამი და 6%-ს – ოთხი ან მეტი წევრი.

დემოგრაფია

გამოკითხულთა ინფორმაციით, ემიგრანტ ქალთა რაოდენობა აღემატება მამაკაცებისას. რესპონდენტთა (რომელთაც ოჯახის წევრი ემიგრანტი ყავთ) 54%-მა მიუთითა, რომ მისი ოჯახის ემიგრანტი წევრი ქალია, ხოლო დანარჩენმა 46%-მა – მამაკაცი. მსგავს ტენდენციასზე მიუთითებენ ფოკუსჯგუფის მონაწილეებიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. უმრავლესობის ინფორმაციით, საქართველოდან ძირითადად შუა ასაკის ქალბატონები გადიან. მათთვის ქვეყნის დატოვების მთავარი მოტივაცია საზღვარგარეთ დასაქმებაა, რისი ალბათობაც ფოკუსჯგუფის მონაწილეების აზრით, ქალისთვის უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცისთვის:

„უმეტესად მიდიან გაჭირვებული, უმუშევარი ქალები, რომლებსაც პროფესია არ აქვთ, ან მომვლელად ან სხვა რამედ“ (ქალი, თვითმმართველობა, ბათუმი).

„90 პროცენტი სამუშაოსი ქალებისთვის არის“. (ქალი, ემიგრანტის ოჯახი, თელავი).


„იქ ქალისთვის უფრო ადვილი იყო სამუშაოს მოძიება . . . მით უმეტეს, თუ ენა იცოდნენ უფრო ადვილად შოულობდნენ სამსახურს, ოჯახებში, ბავშვებთან, დამლაგებლად“ (კაცი, ემიგრანტის ოჯახი, გორი).

„კაცები სეზონურად მიედინება იმიტომ, რომ ძირითადად მუშახელი სჭირდებათ ამ დროს, მაგალითად ზაფხულში გარეთ სამუშაოდ, ქალები შიდა მოსამსახურეებად მუშაობენ“ (ქალი, თვითმმართველობა, ბათუმი).

შედარებით განსხვავებულ ტენდენციასზე მიუთითებს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც, ბოლო 5 წლის განმავლობაში ემიგრაციაში ძირითადად მამაკაცები მიემგზავრებიან (იხ. დიაგრამა 2.5). ემიგრანტი მამაკაცების წილი 56-58% შორის მერყეობს. ქალ ემიგრანტთა რაოდენობა მეტია მამაკაცებზე მხოლოდ 50 წელს ზემოთ ასაკობრივ ჯგუფში. ამ ორ წყაროს შორის მონაცემების შეუსაბამობა ძირითადად წლებში განსხვავებით შეიძლება აიხსნას. GYLA-CIPDD-CRRC-ის 2017 წლის კვლევაში გათვალისწინებულია მიგრაციული ნაკადების მოძრაობა 1991

წლიდან, ხოლო საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებში მხოლოდ 2012 წლის შემდგომ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 90-იან წლებში, საქართველოდან ემიგრირებულ მოსახლეობას შორის ჭარბობდნენ საშუალო ასაკის ქალები, რომლებმაც ქვეყანა უმუშევრობისა და სოციალური ფონის გაუარესების გამო დატოვეს. სამწუხაროდ, დეტალური სტატისტიკური მონაცემების სიმწირის გამო, რთულია გრძელვადიანი ტენდენციის ილუსტრაცია და ანალიზი, ან თუნდაც იმის ახსნა, რატომ ფიქსირდება განსხვავება ასაკობრივ ჯგუფებს შორის. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ხუთი წლის მანძილზე მიგრაციის ფემინიზაციის პროცესი საქართველოში არ შეიმჩნევა.


დიაგრამა 2.5. მიგრანტთა განაწილება სქესის მიხედვით, 2012-2016 წწ.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური¹⁸

გამოკითხულთა ცნობით ემიგრანტთა დიდი უმრავლესობა სრულწლოვანია. მათ შორის მესამედი (33%) ამჟამად 36-45 წლისაა. საკმაოდ მაღალია ასევე 26-35 წლის და 46-55 წლის ემიგრანტთა რაოდენობაც, რომელთა ჯამური წილი 43%-ია (დიაგრამა 2.6).

დიაგრამა 2.6. ემიგრანტთა ასაკობრივი განაწილება




წყარო: GYLA-CIPDD-CRRC, 2017

ეს მაჩვენებელი ეხმიანება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს, რომლის მიხედვითაც ბოლო 5 წლის გან-

18 http://www.geostat.ge/?action=page&p_id=172&lang=geo (ნანახია 30.06.2017)

მავლობაში ემიგრირებულთა საშუალო ასაკი 33 წელი იყო (მამაკაც-ცებისთვის 31, ხოლო ქალებისთვის 36).

დიაგრამა 2.7. ემიგრანტთა განაწილება ასაკის მიხედვით 2012-2016 წწ.




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური¹⁹.

გამოკითხულთა ინფორმაციით, მათი ოჯახის წევრ ემიგრანტთა ყველაზე დიდ წილს (37%-ს) საშუალო განათლება აქვს მიღებული. მხოლოდ 11%-ს აქვს დამთავრებული ბაკალავრიატი და 7%-ს მაგისტრატურა. 22% ფლობს სპეციალისტის დიპლომს (5-წლიანი უმაღლესი განათლება) და 19%-ს აქვს საშუალო ტექნიკური/სპეციალური განათლება (დიაგრამა 2.8). ამ მონაცემების მიხედვით, საქართველოდან შედარებით ნაკლებად მოხდა მაღალკვალიფიციური კადრების გადინება. თუმცა გამოკითხულთა 44%-მა²⁰ აღნიშნა, რომ ემიგრანტი გამგზავრებამდე მუშაობდა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საკმაოდ მაღალია აქტიური სამუშაო ძალის ქვეყნიდან გასვლის ტენდენცია. უფრო მეტიც, ემიგრანტთა უმრავლესობამ – 67%-მა – ქვეყანა სწორედ სამუშაოს ძიების მიზნით დატოვა. სწავლისა და ოჯახის გაერთიანების მოტივით მხოლოდ, შესაბამისად, 14% და 9% გაემგზავრა. აქტიური მუშახელის მასობრივი გასვლა ქვეყნიდან, შეიძლება დადებით ეფექტად წარმოჩნდეს მოკლევადიან პერიოდში. ამით ის ამსუბუქებს უმუშევრობის დონის გამო წარმოშობილ სოციალურ-ეკონომიკურ წნეხს როგორც მოსახლეობისთვის, ისე ხელისუფლებისთვის. თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში მან შეიძლება ახალი გამოწვევა შექმნას. კერძოდ, განაპირობოს გარკვეულ სფეროებში მუშახელის ნაკლებობა და გამოიკვეთოს ამ ნიშის იმიგრაციით შევსების საჭიროება.

19 http://www.geostat.ge/?action=page&p_id=172&lang=geo (ნანახია 30.06.2017)

20 დათვლილია გამოკითხულთა 13%-დან, რომლის ოჯახის წევრი ამჟამად ემიგრაციაში ცხოვრობს

დიაგრამა 2.8. ემიგრანტთა განათლება




წყარო: GYLA-CIPDD-CRRC, 2017

გამოკითხულთა თქმით, ემიგრანტთა 76% ამჟამად დასაქმებულია, ხოლო 22% – არა. ეს უკანასკნელი ჯგუფი შესაძლოა ამჟამად განათლებას იღებდეს ან ოჯახის გაერთიანების მიზნით ცხოვრობდეს საზღვარგარეთ. ამ მონაცემებით შეუძლებელია დადგენა, ემიგრანტების რა ნაწილს აქვს ლეგალური სტატუსი, რადგან როგორც დასაქმებულ, ისე დაუსაქმებელ ემიგრანტებს შორის შესაძლებელია იყვნენ ბინადრობის და/ან მუშაობის ნებართვის არმქონდე პირები.

ემიგრანტთა 68% დაქორწინებულია, 18% – დაუოჯახებელი, 7% ქვრივი და 5% – განქორწინებული/დაშორებული (დიაგრამა 2.9). სამწუხაროდ, უცნობია ოჯახური მდგომარეობის შეცვლა ემიგრაციაში მოხდა თუ გამგზავრებამდე, თუმცა გამოკითხულთა ცნობით, 30%-მა საქართველოში არასრულწლოვანი შვილი/ები დატოვა. მიგრაციის ლიტერატურასა და საზოგადოებაში გავრცელებული აზრის მიუხედავად, საქართველოში ჩატარებულმა ემპირიულმა კვლევამ არასრულწლოვან შვილზე ერთი ან ორივე მშობლის ემიგრაციის უარყოფითი გავლენის ცალსახა კორელაცია არ გამოავლინა. გასმანის და სხვათა (2017) ნაშრომის მიხედვით²¹, საქართველოში მშობელთა მიგრაციის გავლენა მხოლოდ კომუნიკაციისა და დაცულობის შეგრძნების კომპონენტში გამოვლინდა. მშობლებთან კომუნიკაციის აღქმის მაჩვენებელი უფრო მაღალია ემიგრანტი მშობლების ოჯახებში არაემიგრანტ ოჯახებთან შედარებით, თუმცა დაბალია დაცულობის განცდა (Gassmann et al., 2017). უარყოფითი გავლენის ნაკლებობა, უმეტეს შემთხვევაში, ბავშვების ბებია-ბაბუის მზრუნველობის ქვეშ დატოვებამ განაპირობა.

დიაგრამა 2.9. ემიგრანტის ოჯახური მდგომარეობა



წყარო: GYLA-CIPDD-CRRC, 2017

საინტერესოა, რომ ფოკუსჯგუფების მონაწილეების უმრავლესობა ოჯახის წევრების მიგრაციას საკმაოდ დრამატულად აღიქვამს:

21 Gassmann, F., Siegel, M., Vanore, M. and Waidler, J., 2017. Unpacking the Relationship between Parental Migration and Child well-Being: Evidence from Moldova and Georgia. Child Indicators Research, pp.1-18. <https://link.springer.com/article/10.1007/s12187-017-9461-z> (ნანახია 30.06.2017)

„ჩვენ უნდა დავინახოთ ის ტრაგიზმი, რაც მოჰყვება მიგრაციას, პირველ რიგში, ეს ოჯახთან გაუცხოებით იწყება. ქალები მიდიან და ქმრები და შვილები რჩებიან, ისინი ფულს აგზავნიან და ხშირად იმაზე მეტს, ვიდრე ეს საჭიროა, მაგრამ ხელში დაგვრჩა გაუცხოებული ოჯახი და ცუდად აღზრდული შვილი“ (კაცი, საბინაო ამხანაგობის თავმჯდომარე, ქუთაისი).

„განსაკუთრებით ქალების მიერ მცირეწლოვანი ბავშვების დატოვება და წასვლა ძალიან მძიმე თემაა ჩემთვის“ (ქალი, ბათუმი, თვითმმართველობა).

თუმცა მათი განმარტებით, მიგრანტები სამშობლოში დარჩენილ ოჯახებთან რეგულარული კომუნიკაციის შენარჩუნებას წარმატებით ახერხებენ, რაც გასმანისა და სხვათა (2017) კვლევის დასკვნებს ეხმიანება. ურთიერთობა ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით, ძირითადად სკაიპით ხდება:


„სკაიპის თაობას ეძახიან, იმიტომ რომ რეალურად შვილიშვილებს ვერ იცნობენ და მხოლოდ სკაიპის და ელექტრონული საშალებით აქვთ შეხება. ყველა მნიშვნელოვანი მომენტი აქვს დაეაჩემს ჩემს ცხოვრებაში გამოტოვებული. სკოლის დამთავრებიდან უნივერსიტეტის დამთავრებამდე და კიდევ ბევრი პირადი მომენტი და კიდევ კარგი რომ კომპიუტერის საშუალებით მაინც გვეკონტაქტი“ (ქალი, ემიგრანტის ოჯახი, ქუთაისი).

„მაგალითად, ბიცოლარჩემა ქმარი დაიტირა სკაიპით. იყო ქორწილი, გაუჩნდა შვილიშვილი და ვერ ჩამოვიდა საბერძნეთიდან“ (ქალი, ემიგრანტის ოჯახი, ქუთაისი).

გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ ამაჟამად, ემიგრანტთა უმრავლესობა შემდეგ 5 ქვეყანაში ცხოვრობს: რუსეთი (23%), საბერძნეთი (16%), გერმანია (14%), თურქეთი (10%) და იტალია (7%) (დიაგრამა 2.10).

დიაგრამა 2.10. ემიგრანტების დასახლება მიმღები ქვეყნების მიხედვით

რომელ ქვეყანაში ცხოვრობს ემიგრანტი ამაჟამად? (% დათვლილია 365 შემთხვევიდან)



წყარო: GYLA-CIPDD-CRRC, 2017

ძირითადი მიგნებები

ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები მიუთითებს, რომ სტატისტიკური ქართველი მიგრანტი, რომელმაც საქართველო, ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ დატოვა, არის სამსახურის მაძიებელი საშუალო ასაკის (36-40 წლის), საშუალო განათლების მქონე ქალბატონი.

სტატისტიკის სამსახურის ბოლო 5 წლის მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ეს დემოგრაფიული მახასიათებლები შეცვლილია. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ტიპობრივი ქართველი მიგრანტი 31 წლის, საშუალო განათლების მქონე, სამუშაო ადგილის მაძიებელი მამაკაცია. მიგრაციის მსურველთა პროფილიც ამ მახასიათებლის ცვლილებაზე მიუთითებს, რომლის მიხედვით ემიგრაციაში შესაძლებლობის შემთხვევაში, უმეტესად 26-35 წლის მამაკაცები გაემგზავრებოდნენ.

სრულყოფილი და თანმიმდევრული სტატისტიკური მონაცემების არარსებობის გამო, რთულდება სხვადასხვა წყაროდან მიღებული მაჩვენებლების შეჯერება მიგრაციულ ნაკადებზე სრული სურათის მისაღებად: ისინი სხვადასხვა პერიოდს, მიგრანტების განსხვავებულ კატეგორიას ფარავენ და იყენებენ განსხვავებულ მეთოდოლოგიას. მიუხედავად ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია ჩატარებული გამოკითხვისა და ფოკუს-ჯგუფების მსგავსად მიგრაციული პროცესების შესახებ ინფორმაციის დამატებითი წყაროების შექმნა. ის ხელს შეუწყობს ფაქტებისა და საზოგადოებაში არსებული განწყობების გამოვლენას, შესაძლებელს გახდის მათი ურთიერთმიმართების შეფასებას. გრძელვადიან პერიოდში ის ხელს შეუწყობს საქართველოში არსებული საკმაოდ რთული მიგრაციული ტენდენციების გაგებას და მისი შედეგების სიღრმისეულ ანალიზს.

ფულადი გზავნილები

შესავალი

მიგრაციის შედეგებზე მსჯელობის კონტექსტში ხშირად არის ხაზგასმული საქართველოდან წასული მიგრანტების მიერ სამშობლოში გამოგზავნილი ფულადი გზავნილების როლი. გაზრდილი საჯარო და აკადემიური ინტერესის შესაბამისად, GYLA-CIPDD-CRRC-ის 2017 წლის კვლევის ერთი ნაწილი სწორედ ფულად და მატერიალურ გზავნილებს დაეთმო. გამოკითხვა მოიცავდა კითხვებს გზავნილების მოცულობაზე, სიხშირესა და ხარჯვაზე, მათ მნიშვნელობაზე მიმღები ოჯახებისთვის.

საზღვარგარეთიდან ემიგრანტების მიერ სამშობლოში გაგზავნილი ფინანსური რესურსებით პოლიტიკის ანალიზის ექსპერტები და აკადემიური წრეები ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში დაინტერესდნენ. სწორედ მაშინ, როდესაც მკვლევრებმა მიგრაციასა და განვითარებას შორის კავშირის შესწავლა დაიწყეს, ფულადი გზავნილები ამ კავშირის მთავარი ფაქტორი გახდა და მოგვიანებით განვითარების „მანტრადაც“²² მოიხსენიებოდა. ჩარლზ ქინდლბერგერის 1967 წელს გამოქვეყნებული წიგნი: „ევროპის ომის შემდგომი განვითარება: სამუშაო ძალის მიწოდების როლი“²³ იყო მთავარი აკადემიური ნაშრომი, რომლის გარშემოც ძირითადი არგუმენტები ჩამოყალიბდა. ქინდლბერგერის აზრით, მიგრაცია მომგებიანია როგორც მიმღები, ისე გამგზავნი ქვეყნისთვის (Hennings, 2013²⁴). მართალია, არსებობს “ინტელექტის გადინების” საფრთხე, თუმცა ის სრულად კომპენსირდება ფინანსური ტრანსფერებით, რომელსაც მიგრანტები სამშობლოში აგზავნიან (Massey et al., 1993²⁵; Castels et al., 2013²⁶; Hennings, 2013). ეს მიდგომა სრულიად ეხმიანება მიგრაციის ნეოკლასიკურ თეორიას, რომლის მიხედვითაც მიგრაცია სამმაგად მომგებიანია: (1) მიმღები ქვეყანა ავსებს მუშახელზე მოთხოვნას, (2) გამგზავნი ამცირებს უმუშევრობის დონეს და იღებს ფინანსურ შემოსავალს, (3) მიგრანტს საკუთარი შესაძლებლობების

22 Kapur, Devesh. “Remittances: the new development mantra?.” *Remittances: Development impact and future prospects* (2005): 331-60.

23 Kindleberger, C.P., 1967. *Europe’s postwar growth: The role of labor supply*. Harvard University Press.

24 Hennings, M., 2013. The Migration and Development Nexus: A Case Study of Jordan since the 1950s. *Senior Honors Study, The University of North Carolina*.

25 Massey, D.S., Arango, J., Hugo, G., Kouaouci, A., Pellegrino, A. and Taylor, J.E., 1993. Theories of international migration: A review and appraisal. *Population and development review*, pp.431-466.

26 Castles, S., De Haas, H. and Miller, M.J., 2013. *The age of migration: International population movements in the modern world*. Palgrave Macmillan.

განხორციელების დამატებითი შესაძლებლობა ეძლევა (Carling et al., 2011²⁷).

ამ მიდგომას ბევრი სკეპტიკოსი ჰყავს. ერთი მხრივ, ისინი არიან თეორეტიკოსები, რომელთა არგუმენტები ნეომარქსისტულ იდეოლოგიას ეყრდნობა. მათ აქცენტი ფულადი გზავნილებიდან „ინტელექტის გადინების“ შედეგად წარმოქმნილ პრობლემებზე გადააქვთ. ემიგრაციის შედეგად, განვითარებადი ქვეყნები კარგავენ გამოცდილ კადრს, რომელიც აუცილებელია მათი წინსვლისთვის. ისინი კიდევ უფრო დამოკიდებულნი ხდებიან განვითარებულ ქვეყნებზე და განწირულნი არიან სტაგნაციისთვის (Massey et al., 1993²⁸; Papademetriou, 1985²⁹). მეორე მხრივ, არიან მკვლევრები, რომელთაც ემპირიული კვლევების საფუძველზე, ეჭვქვეშ დააყენეს ემიგრანტების ფულადი გზავნილების დადებითი ეკონომიკური ეფექტი. კვლევების უმრავლესობამ აჩვენა, რომ მიგრანტების მიერ სამშობლოში გადარიცხული თანხების ძირითადი ნაწილი ყოველდღიური მოხმარების პროდუქტებში იხარჯება, ზრდის იმპორტირებულ საქონელზე მოთხოვნას და ინვესტს ინფლაციას. უფრო მეტიც, ინვესტიციების განხორციელების შემთხვევაში, ის ეკონომიკის შედარებით ნაკლებად პროდუქტიულ სფეროებში იხარჯება.

საქართველოში, ემიგრანტების მიერ გამოგზავნილ ფულად გზავნილებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, როგორც მიმღები ოჯახების ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ისე ქვეყნის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, ის ქვეყანაში შემოსული უცხოური ვალუტის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან ერთად. უფრო მეტიც, 2009-2014 წლებში, როდესაც მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე, რადიკალურად შემცირდა ინვესტიციები, ის ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების მთავარი წყარო გახდა (დიაგრამა 3.1). ბოლო 17 წლის განმავლობაში, მუდმივად იზრდებოდა ფულადი გზავნილების მოცულობა. გამონაკლისი მხოლოდ 2009, 2013 და 2014 წლები იყო, რაც ძირითადად რუსეთთან ურთიერთობის გართულებითა და უკრაინაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობით აიხსნება³⁰. საკმაოდ მაღალია გზავნილების წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებითაც. საქართველოს 2015 წლის მიგრაციის პროფილის მიხედვით, 2014 წელს ფულადი გზავნილების წილმა მშპ-ის 8.7% შეადგინა³¹. თუმცა, მიუხედავად შემოსული თანხების სიდიდისა, „ქვეყნის ეკონომიკა გზავნილებზე ზედმეტად დამოკიდებული არ არის“ (საქართველოს 2015 წლის მიგრაციის პროფილი, გვ. 52, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2015 (1)).

27 Carling, J. and Hernandez-Carretero, M., 2011. Protecting Europe and protecting migrants? Strategies for managing unauthorised migration from Africa. *The British Journal of Politics and international relations*, 13(1), pp.42-58.


28 Massey, D.S., Arango, J., Hugo, G., Kouaouci, A., Pellegrino, A. and Taylor, J.E., 1993. Theories of international migration: A review and appraisal. *Population and development review*, pp.431-466.

29 Papademetriou, D.G., 1985. Illusions and reality in international migration: migration and development in post World War II Greece. *International Migration*, 23(2), pp.211-224.

30 დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. საქართველოს 2015 წლის მიგრაციის პროფილი და საქართველოს 2016-2020 წლების სტრატეგია.

31 http://migration.commission.ge/files/migration_profile_geo_may.pdf (ნანახია 30/06/2017)

დიაგრამა 3.1. პირადი ფულადი გზავნილები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 1999-2016 წწ.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი³² და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური³³


ფულადი გზავნილები როგორც სიღარიბესთან ბრძოლის და ქვეყნის განვითარების ინსტრუმენტი

ქართულ საჯარო პოლიტიკის სივრცეში მიგრაციისა და განვითარების, შესაბამისად, ემიგრანტთა მიერ გამოგზავნილი ფინანსური რესურსის თემატიკა ახალია და აქტუალური. ის ოფიციალურ სახელმწიფო დოკუმენტში პირველად საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიაში მოხვდა (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2015 (2)). სტრატეგიაში საქართველოს მთავრობამ პირველად გაამახვილა ყურადღება ემიგრაციის შედეგად შექმნილი პოტენციალის ქვეყნის განვითარებისთვის გამოყენების შესაძლებლობაზე. დოკუმენტში ერთი (მე-8) თავი მთლიანად ამ საკითხს ეთმობა, სადაც მიმოხილულია არსებული მდგომარეობა. მასში აღნიშნულია სფეროები, რომლებშიც სახელმწიფოს მიერ ეფექტური პოლიტიკის განსაზღვრამ შეიძლება გაზარდოს მიგრაციის პოტენციალის გამოყენება. ემიგრანტების მიერ გადმორიცხული თანხისა და საქველმოქმედო შემოწირულობების ეფექტური გამოყენება, ასევე ქართულ დიასპორაში არსებული საინვესტიციო პოტენციალის მობილიზება, ცირკულარული მიგრაციის ხელშეწყობა, ის მიმართულებებია, რომლებიც სტრატეგიაში პრიორიტეტულად არის მიჩნეული.

2017 წლის GYLA-CIPDD-CRRC-ის კლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ ქართველი ემიგრანტების უმრავლესობა ინარჩუნებს რეგულარულ კავშირს სამშობლოში დარჩენილ ოჯახის წევრებთან და აგზავნის როგორც ფულად, ისე სხვა მატერიალურ გზავნილებს. მათგან 51%-მა აღნიშნა, რომ მიიღო ფულადი გზავნილი, ხოლო 42%-მა კი ნივთი ან საჩუქარი ემიგრანტისგან ბოლო 6 თვის განმავლობაში (დიაგრამა 3.2).

32 <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304> (ნანახია 30/06/2017)
 33 http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo (ნანახია 30/06/2017)

დიაგრამა 3.2. ფულადი და სხვა მატერიალური გზავნილები




წყარო: GYLA-CIPDD-CRRC, 2017

ფულადი გზავნილების მიმღები მოსახლეობის (76%)-ის ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საზღვარგარეთიდან მიღებულ ფულად გზავნილზე. GYLA-CIPDD-CRRC-ის 2017 წლის კვლევის შედეგებით აშკარაა, რომ ამ ოჯახების მესამედზე მეტისთვის (36%) ეს გზავნილი შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა და მის გარეშე „თავის გატანას“ ვერ შეძლებდა. ფოკუსჯგუფის ერთ-ერთი მონაწილის თქმით, „ემიგრანტები ბევრი ოჯახისთვის გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა“ (ქალი, იპოთეკარი, აჭარა).

გამოკითხულთა დიდი ნაწილისთვის (40%) ეს თანხა დამატებითი, თუმცა შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილია (დიაგრამა 3.3). კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ საზღვარგარეთიდან მიღებული ფული, შემოსავლის წყაროების ჩამონათვალში მეოთხე ადგილზეა ხელფასის, პენსიისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის შემდეგ. ეს მაჩვენებლები მიუთითებს იმაზე, რომ ემიგრაცია, საქართველოს მოსახლეობისთვის, პირველ რიგში, შემოსავლების წყაროს დივერსიფიცირების შესაძლებლობაა.

დიაგრამა 3.3. ფულადი გზავნილების მნიშვნელობა შინამეურნეობისთვის



წყარო: GYLA-CIPDD-CRRC, 2017

ემიგრანტის მიერ გამოგზავნილ ფულად გზავნილებზე სამშობლოში დარჩენილი ოჯახის წევრების ეკონომიკური და სოციალური დამოკიდებულება კიდევ ორი გარემოებით დასტურდება: გზავნილების სიხშირით და მათი ხარჯვის პრიორიტეტებით. ფულადი გზავნილების მიმღებთა თითქმის ნახევარს (47%) თანხა თვეში ერთხელ ან უფრო ხშირად ეგზავნება, 30%-ს – 2-4 თვეში ერთხელ, 13%-ს – საშუალოდ წელიწადში 1-2 ჯერ, ხოლო 5 %-ს განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორცაა: დაბადების დღე, ქორწილი, გასვენება და ა.შ. ოჯახების უმრავლესობა მიღებულ თანხას საკვებ პროდუქტებში (78%), კომუნალურ გადასახადებში (74%) და წამლებში/ჯანდაცვაში (71%) ხარჯავს (დიაგრამა 3.4). მნიშვნელოვანია ვალის/სესხის დაფარვისა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენის წილი. ამ ტენდენციის არსებობა დაადასტურეს ფოკუსჯგუფის მონაწილეებმაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. უმრავლესობის თქმით, გადმორიცხულ თანხებს ძირითადად „საჭმელში და ყოველდღიურ ხარჯებში“ (კაცი, ემიგრანტის ოჯახი, ქუთაისი) იყენებენ ან „ბანკის ვალის და უნივერსიტეტის გადასახადის გასასტუმრებლად“ (კაცი, ემიგრანტის ოჯახი, გორი).


მიღებული ფინანსური დახმარების დაზოგვა ან ინვესტირება თითქმის არ ხდება:

„იმდენი საჭიროებაა, რომ დანაზოგის ვაკეთებთ იგივე თვითმკვლელობაა. დანაზოგი რომ ვაკეთო, რალაცას უნდა მოაკლო, ან საჭმელი მოიკლო ადამიანმა, ან ბანკის გადასახადები“ (კაცი, ემიგრანტის ოჯახი, გორი).

ხარჯებს შორის მხოლოდ განათლებაზე მიმართული სახსრებია მომავალზე ორიენტირებული. მნიშვნელოვანია, რომ ისედაც მწირი ინვესტირებიდან, თანხები ნაკლებ პროდუქტიულ სფეროებში იხარჯება – სოფლის მეურნეობასა და მშენებლობაში (ბინა/საყოფაცხოვრებო

ფართის შექმნა, შემდგომი გაქირავების მიზნით)³⁴. ფულადი გზავნილების მხოლოდ 1% იხარჯება ბიზნესის წამოწყებას ან გაფართოებაზე, თუმცა უცნობია კერძოდ რა სახის საქმიანობაზეა საუბარი, რის გამოც მისი პროდუქტიულობის შეფასება შეუძლებელია.

დიაგრამა 3.4. საზღვარგარეთიდან მიღებული ფულადი გზავნილის ხარჯვა




წყარო: GYLA-CIPDD-CRRC, 2017

ინვესტირების დაბალი წილი ნაწილობრივ შეიძლება გამოგზავნილი თანხების სიმცირით აიხსნას. მართალია, მიგრანტთა ფულადი გზავნილები პირდაპირ უცხოურ ინვესტიციასთან ერთად, საქართველოში სავალუტო შემოსავლების ორი ძირითადი წყაროა (დიაგრამა 3.1), მაგრამ შინამეურნეობის დონეზე ეს თანხა საკმაოდ მწირია. გზავნილის მიმღებ რესპონდენტთა ნახევარმა (52%) აღნიშნა, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ფულადი გზავნილის სახით მის ოჯახს ჯამურად 4000 ლარზე მეტი არ მიუღია³⁵ (დიაგრამა 3.5). ამ მოცულობის თანხით, ასევე მიმღებთა ხარჯვის პრიორიტეტების გათვალისწინებით, წარმოუდგენელია კონკურენტუნარიანი და მაღალპროდუქტიული კერძო ბიზნესის წამოწყება ან გაფართოება. ამ ფონზე, რთულ ამოცანას წარმოადგენს საქართველოს ხელისუფლების მიერ ფინანსურ საკითხებზე ცნობიერების ამაღლებაზე ფოკუსირება. საერთაშორისო დონეზე მსგავსი გამოცდილების არსებობის მიუხედავად, მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის ფინანსური დაგეგმვის უნარების გადაცემა, შესაბამისი შემოსავლების არქონის შემთხვევაში შეიძლება ნაკლებად ეფექტური ინტერვენცია აღმოჩნდეს.

34 სოფლის მეურნეობა მომსახურებისა და წარმოების სფეროებთან შედარებით ყველაზე ნაკლებ პროდუქტიულ საქმიანობად ითვლება. ფიქსირებული ფაქტორებისა და ინოვაციის შეზღუდული შესაძლებლობის გამო ის დიდ შრომით რესურსს მოითხოვს, ხოლო დაბალი ფასების გამო მოგება ძალიან მცირეა. გამონაკლისი განვითარებადი ქვეყნებია, სადაც ინდუსტრიალიზაციის დაბალი დონეა და სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის დანერგვით პროდუქტიულობის გაზრდის პოტენციური არსებობს (სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის იხ: Wang et al., 2008; Szirmai et al., 2015; Soubbotina, 2004; McMillan et al., 2011). მშენებლობა კი წარმოების სფეროში ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებპროდუქტიული საქმიანობაა, რადგან მოკლევადიანი „სუბ-ოპტიმიზაციის“ მიზნით, ნაკლებად ხდება ინოვაციის და ტექნიკური წინსვლის დანერგვა (Dubois et al., 2002; Fulford et al., 2014; Allen, 1985).

35 გამოკითხულთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა – 33% – უარი თქვა კითხვაზე პასუხის გაცემაზე.

დიაგრამა 3.5. საზღვარგარეთიდან მიღებული თანხების მოცულობა




წყარო: GYLA-CIPDD-CRRC, 2017

ფულადი გზავნილების ხარჯვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას ძირითადად სამშობლოში დარჩენილი ოჯახის წევრები იღებენ. ფულადი გზავნილის მიმღებთა 64%-ის თქმით, ამ პროცესში ემიგრანტები ჩართულები არ არიან, 29%-ის ინფორმაციით – გადაწყვეტილება ერთობლივად მიიღება და მხოლოდ 4%-ის შემთხვევაში ეს ემიგრანტის პრეროგატივაა.

გამოკითხვამ ასევე გამოავლინა, რომ ფულადი გზავნილების თითქმის 18% არსად რეგისტრირდება: ის ნაღდი ფულის სახით ჩამოაქვს თავად ემიგრანტს, მის მეგობარს/ნათესავს ან კურიერს. შესაბამისად, ფულადი გზავნილების დაახლოებით მეხუთედი არ აისახება საქართველს ეროვნული ბანკის, ან სხვა ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებში. საკმაოდ მნიშვნელოვანი წილის მიუხედავად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნაღდი ფულით შემოტანილი თანხები, ჩვეულებრივ, არ არის დიდი და შეუძლებელია გავლენა იქონიოს სავალუტო ბაზარზე არსებულ რესურსებზე. გამოკითხულთა დიდი ნაწილი (58%) ექსპრეს გზავნილების მომსახურებას იყენებს და მხოლოდ მესამედი (31%) სარგებლობს სტანდარტული საბანკო გადარიცხვით (დიაგრამა 3.6).

დიაგრამა 3.6. ფულადი გზავნილების საშუალებები



წყარო: GYLA-CIPDD-CRRC, 2017

ძირითადი მიგნებები

GYLA-CIPDD-CRRC-ის 2017 წლის კვლევა, სხვა კვლევების მსგავსად, აშკარად მიუთითებს, რომ ემიგრანტის მიერ გამოგზავნილ ფულად დახმარებაზე ეკონომიკურად მნიშვნელოვნად დამოკიდებული არიან მიმღები ოჯახები. ამ თანხების ძირითადად ყოველდღიური მოხმარების პროდუქტებსა და ნამლებზე ხარჯვა ადასტურებს ზოგად დაშვებას, რომ საზღვარგარეთიდან მიღებული ფულადი გზავნილები ძირითადად სოციალურად დაუცველ ან მოწყვლად ჯგუფებში ნაწილდება და მნიშვნელოვანია ქვეყნის სიღარიბესთან ბრძოლის პროცესში. შედეგად, მოკლევადიან პერიოდში, ემიგრანტთა კონტრიბუციას არსებითი გავლენა აქვს შინამეურნეობებზე. ისინი, ერთი მხრივ, ქმნიან შემოსავლის დამატებით წყაროს, ხოლო, მეორე მხრივ – „უსაფრთხოების ბადეს“, რომელიც სიღარიბისგან იცავს სამშობლოში დარჩენილ ოჯახის წევრებს. მაკროეკონომიკური თვალსაზრისით ის მნიშვნელოვანია (1) როგორც სავალუტო რესურსის შემოღინების ძირითადი წყარო, ასევე (2) ბაზარზე პროდუქციასა და მომსახურებაზე მოთხოვნის შესანარჩუნებლად.

მოკლევადიანი გავლენისგან განსხვავებით, საკმაოდ რთულია საზღვარგარეთიდან მიღებული ფულადი გზავნილების გრძელვადიანი ეკონომიკური გავლენის შეფასება. კვლევის შედეგებით აშკარაა, რომ მიღებული თანხის მხოლოდ მცირედი ნაწილი იხარჯება ინვესტირებისთვის. გამოიკვეთა ამ თანხების ერთი მხრივ განათლებასა და მეორე მხრივ ნაკლებად პროდუქტიულ ეკონომიკურ საქმიანობაში (სოფლის მეურნეობასა და უძრავ ქონებაში) დაბანდების ტენდენცია. უფრო მეტიც, გზავნილების ძირითადი ნაწილი იმპორტირებული საქონლის შეძენაში იხარჯება (ყოველდღიური მოხმარების საგნები, ნამლები, ტექნიკა და ა.შ.), რაც შემოსული უცხოური ვალუტის უკან გადინებას იწვევს. შედეგად, არსებული პრაქტიკის გაგრძელების შემთხვევაში, ეჭვქვეშ დგება ამ რესურსის ქვეყნის განვითარების გრძელვადიანი მიზნებისთვის გამოყენების შესაძლებლობა.

90-იანი წლების დასაწყისიდან მიგრაცია-განვითარების დისკურსის წმინდა ეკონომიკურ განზომილებას სოციალური და პოლიტიკური ასპექტები დაემატა. გაიზარდა კვლევების რაოდენობაც, რომლებშიც ფოკუსი თავად მიგრანტზე კეთდება და ის განვითარების აგენტად აღიქმება. გარდა ფულადი გზავნილებისა, ისინი სამშობლოში დარჩენილ ოჯახის წევრებს, ნათესავებსა და მეგობრებს ცოდნას, გამოცდილებას, შეხედულებებსა და ახალ იდეებს უზიარებენ (Koser, 2007)³⁶. ეს ე.წ. „სოციალური გზავნილებია“, რომლებიც გრძელვადიან პერსპექტივაში გავლენას ახდენს გამგზავნი ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაზე. მოცემულ რაოდენობრივ კვლევაში არ იყო გათვალისწინებული არამატერიალური – სოციალური და პოლიტიკური გზავნილების შესწავლა, თუმცა ღირებული იქნება მომავალ კვლევებში ამ ასპექტის გათვალისწინება.

4


განწყობები იმიგრანტების მიმართ

ქვეყანაში იმიგრანტების ჩამოსვლა არაერთგვაროვან დამოკიდებულებას იწვევს ადგილობრივ მოსახლეობაში. მიგრაციული პროცესების მართვისას მნიშვნელოვანია იმის დადგენა, რას ფიქრობს მოსახლეობა უცხოელების ჩამოსვლაზე, მათ როლსა და გავლენაზე, ასევე იმიგრაციის შესაძლო შედეგებზე. GYLA-CIPDD-CRRC-ის კვლევის ერთ-ერთ მიზანს იმიგრანტებისადმი საზოგადოების განწყობების დადგენა წარმოადგენდა.

GYLA-CIPDD-CRRC-ის გამოკითხვის მიხედვით, მოსახლეობის უმრავლესობას (56%) ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს საქართველოში სამ თვეზე ხანგრძლივი დროით ჩამოსული უცხოელების მიმართ. 32% დადებითად არის განწყობილი, ხოლო 9% უარყოფითად.

დიაგრამა 4.1 – დამოკიდებულება სამ თვეზე მეტი დროით დასახლებული უცხოელების მიმართ

როგორ შეაფასებდით თქვენს დამოკიდებულებას საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსული უცხოელების მიმართ, ვინც აქ 3 თვეზე მეტი დროით რჩება? როგორც... (%)



საქართველოში უცხოელების დასახლების მიმართ ფოკუსჯგუფის დისკუსიაში უფრო უარყოფითი განწყობა ქარბობდა, რაც, ძირითადად, იმიგრანტების მხრიდან მომდინარე სავარაუდო საფრთხეების აღქმასთან იყო დაკავშირებული.

"ამ ეტაპზე მე წინააღმდეგი ვარ რომ იცხოვრონ. ესლა უცხოელი რომ ჩამოდის-ჩამოდის თანხით. მას შეუძლია იყიდოს გარკვეული მინა-წყალი, მაშინ როდესაც შენ სოციალურად გიჭირს და ვერ ყიდულობ ვერაფერს. მაშინ უნდა დააბალანსოს ქვეყანამ, ცოტა ეკონომიურად უნდა გავძლიერდეთ და ამ ფონზე უკვე შეიძლება". (კაცი, ემიგრანტის ოჯახის წევრი, გორი)

"ტელევიზორში ვუსმენდი, მდინარე თრუსოს ხეობაში დასახლდა ჩინელი, რომელსაც ჰყავს რვა შვილი... აქ ყველაფერია ნათქვამია, აი ასეთ კარგ ადგილს მოვლენ და სხვები დაიკავებენ, ჩვენ კი ნავალთ და 250 სახელმწიფოში მოვეფინებით". (ქალი, მასწავლებელი, ამბროლაური)

ფოკუსჯგუფის მონაწილეებმა ისაუბრეს საზოგადოების არაერთგვაროვან განწყობებზე სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლების მიმართ და მიაჩნდნენ მათდამი შერჩევით დამოკიდებულებაზე ეროვნების და/ან რასის მიხედვით.

"არავის არ უნდა ფერადკანიანი სიძე. უფრო გამწვავებულია სიტუაცია, თუ ფერადკანიანია. იმიტომ, რომ, მაგ., გერმანელზე რომ გათხოვდეს, იქ უკვე სხვანაირად იქნება საქმე (იციან) და, აი, ნიგერიიდან ჩამოსული სიძე არავის არ უნდა." (ქუთაისი, გოგო, ემიგრანტის შვილი)

თუმცა, გამოითქვა შედარებით პოზიტიური და ნეიტრალური მოსაზრებებიც:

"ჩემთვის, მაგალითად, მისაღებია. არა მაქვს პრობლემა. თუ იცხოვრებს, კანონს არ დაარღვევს, გადაიხდის გადასახადებს, იცხოვრებს პატიოსნად, რატომ არა რა. ქართველებიც ცხოვრობენ, მაგალითად, ჩინეთში, იტალიაში, იქ, აქ და იმათაც რატომაც არ უნდა იცხოვრონ ჩვენ ქვეყანაში, უბრალოდ კრიმინალი არ ჩაიდინონ, იცხოვრონ პატიოსნად." (ქალი, გორი)

"რა თქმა უნდა, ძალიან მტკივნეულია, როცა უცხოელი შემოდის შენს ქვეყანაში საცხოვრებლად, სამუშაოდ. თუმცა, ეს გლობალური პროცესებია. ერთი მინდა ვთქვა, რომ ჩვენთან ქართველები არ მუშაობენ და უცხოელები მუშაობენ, ძალიან გაზარმაცებული და „გატლანქებული“ ქართველი ხალხი. არ ვიცი, შეიძლება დედებმა გააზარმაცეს შვილები." (ქუთაისი, დაბრუნებული მიგრანტი)

"აბსოლიტურად მისაღები არის ჩემთვის. აქ არ არის ლაპარაკი სინამდვილეში ამაზეც. რომ ჩაუღრმავდე, აქ არის ლაპარაკი, მისაღებია-არ არის მისაღები. ეს უბრალოდ ნორმალურ ჩამოყალიბებული ქვეყნის, რომ იტყვიან, ერთ-ერთი მაჩვენებელია, რომ შეუძლია სხვა ქვეყნიდანაც მიიღოს მოქალაქე, შეიფაროს და ასე შემდეგ. ეს ასეც უნდა იყოს, უბრალოდ რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში და ვგულისხმობ საქართველოს შემთხვევაში, ეს რა შედეგებს მიიღებს (ეს რა დადებითი თუ უარყოფითი), ეს კიდევ სხვა თემა არის." (კაცი, გორი, დევნილების დასახლება)

გამოითქვა მოსაზრება იმიგრაციული ნაკადების მართვის და მოსალოდნელი არასასურველი შედეგების კონტროლის საჭიროებაზე. ფოკუსჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია, დარეგულირდეს პროცესი ისე, რომ იმიგრაცია იყოს "დოზირებული".


სხვადასხვა რეგიონში ჩატარებული ფოკუსჯგუფის დისკუსიაში ერთ-ერთ ძირითად ნუხილად დაცარიელებული დასახლებების/ტერიტორიების უცხოელების მიერ დაკავება და ადგილობრივი მოსახლეობის ჩანაცვლების პროცესი დასახელდა.

"საქართველოში რომ ადამიანი ჩამოდის, არ ვიცი, ის მართლა სადღაც ჭაობიდან ამოდის. მე რასისტი არასოდეს არ ვყოფილვარ, მაგრამ ქართველი ვარ და ჩემი ქვეყნის დაცვა მინდა. მე რაც ვნახე ევროპაში, ბელგიელებს ბელ-

გიელობა აღარ აქვთ. კიდევ 10-15 წელი და ვეღარც პარლამენტში იქნებიან ბელგიელები, რომ თავიანთი ქვეყნისთვის რაღაც სასიკეთო მიიღონ." (კაცი, ბელგიიდან დაბრუნებული ემიგრანტი)

მონაწილეების აზრით, ქვეყანას საქართველოს ბევრი მოქალაქე ტოვებს, პარალელურად კი ჩამოდიან უცხოელები და იკავებენ მათ ადგილს. მოსახლეობის მიერ მიგრაციული დინამიკის აღქმა მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვევა ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს. ბოლო 5 წლის განმავლობაში ემიგრაციული ნაკადი იმიგრაციულზე მეტი იყო. 2012 წლიდან 2016 წლის ჩათვლით ქვეყანაში ნეგატიური მიგრაციული სალდო დაფიქსირდა, რომელიც განსაკუთრებით 2012 წელს იყო მაღალი (-21,5). მომდევნო წლებში ეს ტენდენცია შედარებით დაბალანსდა და 2016-ში – 8,1 შეადგინა. 2013 წლიდან იმიგრაციის სტატისტიკა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, თუმცა 2012 წელთან შედარებით მკვეთრი მატება აღინიშნა.


დიაგრამა 4.2 – ემიგრანტების და იმიგრანტების რიცხოვნობა, 2012-2016 წწ.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური³⁷

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით, საქართველოში იმიგრაცია ძირითადად შემდეგი ქვეყნებიდან ხდება: რუსეთის ფედერაცია, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, უკრაინა და აშშ. 2014 წლის შემდეგ იმიგრანტების ნაკადი გაიზარდა უკრაინიდან, პარალელურად კი მნიშვნელოვნად იკლო სომხეთიდან და თურქეთიდან (დიაგრამა 4.3).

დიაგრამა 4.3 – იმიგრანტების რიცხოვნობა მოქალაქეობის მიხედვით, 2012-2016 წწ.




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური³⁸

GYLA-CIPDD-CRRC-ის გამოკითხვის მიხედვით, საზოგადოებრივი აზრი იყოფა ისეთ სენსიტიურ საკითხთან მიმართებით, როგორცაა უცხოელების მიერ მიწის დამუშავება. მოსახლეობის 45% იზიარებს მოსაზრებას, რომ საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსული უცხოელების მიერ მანამდე დაუმუშავებელი მიწის დამუშავება საბოლოო ჯამში სასარგებლო იქნება ქვეყნისთვის. ხოლო მოსახლეობის მეორე ნაწილისთვის (47%) ეს კატეგორიულად დაუშვებელია.

დიაგრამა 4.4 – დამოკიდებულება უცხოელების მიერ მიწის დამუშავების მიმართ

ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით? (%)



წყარო: GYLA-CIPDD-CRRC, 2017


ფოკუსჯგუფების ყველა მონაწილე, უცხოელებისადმი ნეგატიურად განწყობილთა ჩათვლით, მზად არის საქმიანი, ბიზნესურთიერთობა ჰქონდეს იმიგრანტებთან. გამოკითხულთა განწყობა ნეიტრალური და შედარებით პოზიტიურია, როცა საქმე ეკონომიკაზე უცხოელების საქმიანობის გავლენის შეფასებას ეხება. მოსახლეობის 32%-ის აზრით,

38 http://www.geostat.ge/?action=page&p_id=172&lang=geo (ნანახია 02/07/2017)

საქართველოში ჩამოსული უცხოელები ხელს შეუწყობენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, რაზეც უარყოფითად 22% პასუხობს. 39% კი მიიჩნევს, რომ ეკონომიკური გავლენის შედეგი სხვადასხვა გარემოებაზეა დამოკიდებული.

დიაგრამა 4.5 – ეკონომიკაზე უცხოელების გავლენის შეფასება

თქვენი აზრით, უცხოელები, ვინც საქართველოში საცხოვრებლად ჩამოდიან, შეუწყობენ თუ არა ხელს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას? (%)



წყარო: GYLA-CIPDD-CRRC, 2017

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა შედარებით მცირე ნაწილის განწყობა და შეხედულება ეფუძნება პირად გამოცდილებას. გამოკითხვაში მონაწილე მხოლოდ 20% აღნიშნავს, რომ შეხება ჰქონია საქართველოში გრძელვადიანად ჩამოსულ უცხოელებთან. GYLA-CIPDD-CRRC-ის გამოკითხვაში არ იყო დაკონკრეტებული იმიგრანტების წარმომავლობის ქვეყნები, შესაბამისად, რესპონდენტები პასუხობდნენ კითხვას ზოგადად უცხოელების და არა კონკრეტულად რომელიმე კატეგორიის შესახებ.

ძირითადი მიგნებები

გამოკითხვის მონაცემების მიხედვით ნათელი ხდება, რომ მოსახლეობის უმრავლესობის ზოგადი განწყობა ნეიტრალურია (56%) ან დადებითი (32%) საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსული უცხოელების მიმართ. შესაბამისად, ამ კვლევის მონაცემებით არ დასტურდება ის მოსაზრება, რომლის მიხედვით საქართველოს მოქალაქეებს იმიგრანტების მიმართ ძირითადად ნეგატიური განწყობა აქვთ.

ფოკუსჯგუფის დისკუსიებში დასახელდა ამ დამოკიდებულების განმაპირობებელი მოსაზრებები. რესპონდენტების ნაწილისთვის უცხოელების ჩამოსვლა მისაღებია, რადგან მიაჩნიათ, რომ მიგრაცია გლობალური პროცესია და უცხოელების საქართველოში ცხოვრება დასაშვებია, თუკი ისინი არ არღვევენ ადგილობრივ კანონმდებლობას.

დამოკიდებულება იცვლება, როცა საქმე იმიგრანტების საქართველოში დაფუძნებას, მაგალითად, მიწის დამუშავებას ეხება, რასაც მოსახლეობის თითქმის ნახევარი კატეგორიულად ეწინააღმდეგება. დისკუსიებისას ამ საკითხზე გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ იმიგრანტებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება გაზრდილი კონკურენციის აღქმას უკავშირდება. ფოკუსჯგუფის მონაწილეების ნაწილი ფიქრობს, რომ უცხოელები

ჩამოდიან და „ყველაფერს ართმევენ“ ადგილობრივ მოსახლეობას, რაშიც რესპონდენტები, ძირითადად, სამუშაო ადგილების დაკავებას და მიწის შეძენა-დამუშავებას გულისხმობენ. სწორედ ამ საფრთხეების საპასუხოდ გამოთქვეს მათ იმიგრაციული ნაკადების დაბალანსებისა და მართვის საჭიროება.

მოსახლეობის მხოლოდ მესამედი მიიჩნევს, რომ უცხოელები ხელს შეუწყობენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ფოკუსჯგუფების დისკუსიისას გამოითქვა მოსაზრება, რომ განვითარებადი, საქართველოზე უფრო გაჭირვებული ქვეყნებიდან ჩამოსული უცხოელები ვერ შეძლებენ ქვეყნის განვითარებაში წვლილის შეტანას. ამავე დროს, ძირითადად ყველა მონაწილე თანახმაა უცხოელებთან საერთო ბიზნესის წამოწყებაზე.

მოსახლეობის განწყობა არ არის ცალსახა და მათი შეფასებისას მნიშვნელოვანია სხვადასხვა ასპექტისა და გარემოების გათვალისწინება. მნიშვნელოვანია არსებულ ნუხილებზე დაყრდნობით მოსახლეობის სწორი ინფორმირება ქვეყანაში მიმდინარე იმიგრაციულ პროცესებზე, რათა საზოგადოებაში არასწორი ინფორმაციის გავრცელებამ და/ან მედიაში ცალკეული შემთხვევების გაშუქებამ, ხელი არ შეუწყოს არატოლერანტული, ნეგატიური და მტრული განწყობის გაძლიერებას.

დასკვნა

საერთაშორისო მიგრაცია, მისი მიზეზები და შედეგები მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქართულ საჯარო სივრცეში მიმდინარე დისკუსიებში. მასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს ექსპერტულ წრეებსა და საზოგადოებაშიც. ეს ბუნებრივიცაა, რადგან როგორც მიგრაციული პროცესები, ისე მათი შედეგები დინამიკური, სხვადასხვა გარემოებაზე დამოკიდებული და არაერთმნიშვნელოვანია. ამიტომ სრულყოფილი ანალიზისთვის საჭიროა ყველა ასპექტის გათვალისწინება, ინტერდისციპლინური კვლევების ჩატარება და მონაცემთა ახალი ბაზების შექმნა. ეს ხელს შეუწყობს მოსალოდნელი საფრთხეებისა და ახალი შესაძლებლობების პროგნოზირებას, მიგრაციასთან დაკავშირებული პოლიტიკისა თუ სტრატეგიის დაგეგმვას და განხორციელების შეფასებას. წინამდებარე ანგარიშის მიზანიც სწორედ ამ პროცესში წვლილის შეტანა და საკვანძო საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის შესწავლა იყო.

ანგარიშში მოცემული დასკვნები კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ მიგრაციის გავლენის შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია დემოგრაფიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ფაქტორების როგორც მოკლე, ისე გრძელვადიანი შედეგების ანალიზი და მათი გამიჯვნა. ხშირად, საზოგადოებაში მიგრაციის დადებითი ან უარყოფითი ეფექტების განხილვისას, ყურადღების მიღმა რჩება მათი განგრძობადი გავლენის შეფასება. მაგალითად, მიგრაცია-განვითარების ურთიერთკავშირზე მსჯელობის კონტექსტში მთავარი აქცენტი კეთდება ემიგრანტების მიერ სამშობლოში დარჩენილი ოჯახებისთვის გაგზავნილ ფულად დახმარებაზე. ეს თანხები უმნიშვნელოვანესია მიგრანტების ოჯახების სოციალური მდგრადობისა და ზოგ შემთხვევაში ეკონომიკური წინსვლისთვის. მას ასევე გავლენა აქვს ქვეყანაში უმუშევრობის დონის შემცირებაზე, სიღარიბის დაძლევაზე და სავალუტო რესურსების შემოღობვაზე. თუმცა მსგავსი მოკლევადიანი სარგებლის აღნიშვნით, არ უნდა გადაიფაროს მასთან დაკავშირებული სხვა პრობლემური საკითხი, რომელმაც შეიძლება თავი იჩინოს გრძელვადიან პერსპექტივაში. მაგალითად: აქტიური სამუშაო ძალის დაკარგვა, ფულადი გზავნილების იმპორტირებული საქონლის შესყიდვაში ხარჯვა, ვალუტის უკან გადინება და ა.შ. მიგრაციასთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისას ერთ-ერთ მთავარ გამომწვევას ამ პროცესის გრძელვადიანი და მოკლევადიანი შედეგების განცალკევება და ანალიზი.

კვლევის შედეგები ასევე მიუთითებს, რომ მოსახლეობის არასათანადო ინფორმირებულობა სერიოზული გამოწვევა შეიძლება გახდეს და საფრთხე შეუქმნას ქვეყნის ისეთ მილწევას, როგორცაა, მაგალითად, ევროკავშირის/შენგენის ზონის სახელმწიფოებთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი. მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს მცდარი წარმოდგენა აქვს ვიზა-ლიბერალიზაციით შექმნილ შესაძლებლობებზე. მათი აზრით, ის მოსახლეობას ევროკავშირში დასაქმების უფლებას აძლევს. უფრო მეტიც, მოსახლეობის ნაწილს უჭირს ევროკავშირის/შენგენის ზონის ქვეყნების არანევრი სახელმწიფოებისგან გარჩევა (მაგ. რუსეთი, თურქეთი). კვლევამ ასევე საინტერესო შედეგები გამოავლინა იმიგრანტების მიმღებლობასთან დაკავშირებით. უცხოელების მიმართ ქართველების ტოლერანტული თუ არატოლერანტული დამოკიდებულების შესახებ არსებულ დისკუსიას საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ უფრო სიღრმისეული ხედვა შესძინა. მოსახლეობის თითქმის ნახევარი ნეიტრალურად არის განწყობილი იმიგრანტების მიმართ და მათი დამოკიდებულების ცვლილება სხვადასხვა გარემოებაზე დამოკიდებული (იმიგრანტის წარმომავლობა, საქართველოში მიგრაციის მიზანი და ა.შ). შესაბამისად, მნიშვნელოვანია რეგულარულად განხორციელდეს საზოგადოებრივი განწყობის კვლევა და მოსახლეობასთან სწორი კომუნიკაცია, რომლის ფარგლებში თითოეულ მნიშვნელოვან საკითხზე – იმიგრანტებთან დაკავშირებულ ნუხილსა თუ საზღვარგარეთ სამუშაოდ გამგზავრების პროცედურებზე – პასუხი იქნება გაცემული.

ბიბლიოგრაფია

Allen, S.G., 1985. *Why construction industry productivity is declining*. National Bureau of Economic Research.

Bondyrev, I., Davitashvili, Z. and Singh, V.P., 2015. *The Geography of Georgia: Problems and Perspectives*. Springer.

Carling, J. and Hernández-Carretero, M., 2011. Protecting Europe and protecting migrants? Strategies for managing unauthorised migration from Africa. *The British Journal of Politics and international relations*, 13(1), pp.42-58.

Castles, S., De Haas, H. and Miller, M.J., 2013. *The age of migration: International population movements in the modern world*. Palgrave Macmillan.

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, 2016. *საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2016 წლის მარტი*. <http://www.caucasus-barometer.org/>

Dubois, A. and Gadde, L.E., 2002. The construction industry as a loosely coupled system: implications for productivity and innovation. *Construction Management & Economics*, 20(7), pp.621-631.

Fulford, R. and Standing, C., 2014. Construction industry productivity and the potential for collaborative practice. *International Journal of Project Management*, 32(2), pp.315-326.

Gassmann, F., Siegel, M., Vanore, M. and Waidler, J., 2017. *Unpacking the Relationship between Parental Migration and Child well-Being: Evidence from Moldova and Georgia*. *Child Indicators Research*: <https://link.springer.com/article/10.1007/s12187-017-9461-z>

Hennings, M., 2013. *The Migration and Development Nexus: A Case Study of Jordan since the 1950s*. Senior Honors Study, The University of North Carolina.

Kapur, D., 2005. *Remittances: the new development mantra?. Remittances: Development impact and future prospects*, pp.331-60.

Kindleberger, C.P., 1967. *Europe's postwar growth: The role of labor supply*. Harvard University Press.

Koser, K., 2007. *International migration: A very short introduction*. OUP Oxford.

Massey, D.S., Arango, J., Hugo, G., Kouaouci, A., Pellegrino, A. and Taylor, J.E., 1993. *Theories of international migration: A review and appraisal*. Population and development review, pp.431-466

McMillan, M.S. and Rodrik, D., 2011. *Globalization, structural change and productivity growth* (No. w17143). National Bureau of Economic Research.

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2015 (1). საქართველოს 2015 წლის მიგრაციის პროფილი. http://migration.commission.ge/files/migration_profile_geo_may.pdf

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2015 (2). საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია. http://migration.commission.ge/files/migration_strategy_2016-2020_geo_final_-_amended.pdf

Papademetriou, D.G., 1985. *Illusions and reality in international migration: migration and development in post World War II Greece*. International Migration, 23(2), pp.211-224.

საქსტატი (საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი), 2003. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები. თბილისი. http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/census/2002/1%20tomi%20-%20saqarTvelos%20mosaxleobis%202002%20wlis%20pirveli%20erovnuli%20sayovelTao%20aRweris%20Sedegebi.pdf

Soubbotina, T.P., 2004. *Beyond economic growth: An introduction to sustainable development*. World Bank Publications.

Szirmai, A. and Verspagen, B., 2015. Manufacturing and economic growth in developing countries, 1950–2005. *Structural Change and Economic Dynamics*, 34, pp.46-59.

Wang, L. and Szirmai, A., 2008. Productivity growth and structural change in Chinese manufacturing, 1980–2002. *Industrial and Corporate Change*, 17(4), pp.841-874.